პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 39 (10736) | პარასკევი, 15 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებს

★

კომკავშირი და სკოლა

საბჭოთა სკოლა დიდ და საპატიო როლს ასრულებს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში. პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენი სკოლა წარმატებით იბრძვის მეექვსე ხუთწლედში საყოველთაო საშუალო განათლების ძირითადად განხორციელებისათვის, პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების განვითარებას. ამ მიზნისათვის დიდძალი სახსრები და ღონისძიებებია გათვალისწინებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლებიც ერთსულოვნად მოიწონა ამ დღეებში ჩატარებულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ. წელს მოსწავლეთა რიცხვი დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში 29,1 მილიონი იქნება, ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისა — დაახლოებით 2 მილიონი.

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების საქმეში დიდი როლი აკისრია კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს — კომკავშირს. პარტიის XX ყრილობამ კომკავშირს მისცა პასუხსაგები დავალება — ყოველდღიურად მიიღოს მონაწილეობა ჩვენი ბავშვების აღზრდაში. კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ საბჭოთა სკოლის შემდგომ განვითარებაში, დაეხმარონ მას მოსწავლეთა წარმატების ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში. აუცილებელია სისტემატური ზრუნვა იმისათვის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა შეუპოვრად ეუფლებოდეს ცოდნას, იზრდებოდეს სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის, კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულების, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დგას დიდი აღმზრდელობითი ამოცანა — ნათლად უჩვენოს მოსწავლე ახალგაზრდობას სოციალისტურ წარმოებაში — დაზგებთან, აგრეგატებთან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ველებზე შრომის უდიდესი მნიშვნელობა და მიმზიდველობა. ამიტომ კომკავშირული ორგანიზაციები ქმედითად უნდა იბრძოდნენ პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის, ეხმარებოდნენ სკოლებს სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობის, სასკოლო საცდელ ნაკვეთებზე მუშაობის საუკეთესოდ დაყენების საქმეში.

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების რიცხვი. ამჟამად მათს რიგებში 138 ათასზე მეტი წევრი ითვლება. მთელი რიგი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები მჩქეფარე, სისხლსავსე მუშაობას ეწევიან მოსწავლეთა აღზრდისათვის, აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა, განიხილა საკითხი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. პლენუმმა ყურადღება გაამახვილა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის, რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების საკითხებზე.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თბილისის მე-6, მე-7 რკინიგზის სკოლების, ქუთაისის მე-2, მე-4, მე-3, ზესტაფონის მე-2 და სხვა საშუალო სკოლების კომკავშირული ორგანიზაციები. ისინი სისტემატურად სწავლობენ და განიხილავენ კომკავშირულ კრებებზე სწავლა-აღზრდის საკითხებს, ეხმარებიან სკოლის დირექციებსა და მასწავლებლებს სასწავლო კაბინეტების მოწყობაში, პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებაში. სკოლებში კომკავშირელები დიდ ყურადღებას აქცევენ პიონერული რაზმების მუშაობას, სკოლისგარეშე საქმიანობას.

თელავის რაიონის სოფელ ფშავლის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია ქმედითად იბრძვის პოლიტექნიკური სწავლების დანერგვისათვის. კომკავშირელები წარმატებით მუშაობენ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე. სწავლისაგან თავისუფალ დროს ისინი მონაწილეობენ საკოლმეურნეო სამუშაოებში. ზაფხულის არდადეგების პერიოდში მოსწავლეებმა გამოიმუშავეს 435 შრომადღე, აიღეს 36 ტონა სიმინდი, 9 ტონა ჭარხალი, შეაგროვეს 3 ტონაზე მეტი ველური ნაყოფი. სკოლა ორჯერ იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი კომკავშირელი.

ქების ღირსია მახარაძის, ლენინგორის, გორის და სხვა რაიონების სკოლების მოსწავლეთა შრომისმოყვარეობა. გორის რაიონის სოფელ ტყვიავის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სიმინდი აიღეს 100 ჰექტარზე, ყურძენი — 150 ჰექტარზე, მოკრიფეს 300 ტონა ვაშლი და სხვ. კომკავშირელები მოწინავენი არიან სწავლასა და შრომაში. ამ სკოლის კურსდამთავრებული ბევრი ახალგაზრდა ენერგიულად მუშაობს კოლმეურნეობაში.

მაგრამ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. მოსწავლეთა აღზრდაში სერიოზული ხარვეზის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ კომკავშირის ბევრი კომიტეტი სათანადო ზომებს არ იღებს, რათა ჩაბას მოსწავლეები კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეებში, აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში, ხალხის საერთო შემოქმედებითს შრომაში.

კომკავშირის ზოგიერთმა რაიკომმა და ქალაქკომმა არასწორად გაიგო საკავშირო ალკკ XII ყრილობის გადაწყვეტილებანი და მთელი სიმძიმე პიონერულ მუშაობაზე გადატანა, სათანადო ყურადღებას არ აქცევს და ხელმძღვანელობას არ უწევს სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს. სუსტად მუშაობენ კომკავშირული ორგანიზაციები ქ. სტალინირის სკოლებში. აქ არ იგრძნობა ინიციატივა, ცოცხალი, ორგანიზატორული საქმიანობა. კომკავშირული კრებები ან სულ არ ეწყობა, ან ეწყობა ფორმალურად, ქალაქის სკოლებში მოსწავლეთა ყველაზე მაღალი წარმატებაა 50-60 პროცენტი.

ასევე შეიძლება ითქვას კაჭრეთის, ახალქალაქის და სხვა რაიონების სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებზე. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები და აქტივისტები ხშირად მითითებებს „ზემოდან“ ელოდებიან.

ზოგან კომკავშირული კრების შეუწყნარებელ შეუფასებლობას იჩენენ. ქ. ჭიათურისა და ახალციხის რაიონის მთელ რიგ სკოლებში კომკავშირული კრებები ხშირად მოვალეობის მოხდის მიზნით ეწყობა.

ზოგიერთ სკოლაში დაივიწყეს მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდა. ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული სოხუმის მე-6, მე-11 და სხვა საშუალო სკოლებში, სადაც არ ეწყობა პიონერული შეკრებები, მეგობრობის საღამოები.

კომკავშირის ძლიერებისა და სიმტკიცის წყარო პარტიულ ხელმძღვანელობაშია. რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე ბევრი ითქვა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთი წუთითაც არ შეასუსტონ ყურადღება სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, სისტემატური და ქმედითი დახმარება გაუწიონ მათ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დიდი და კეთილშობილური ამოცანის შესრულებაში.

ფილმები დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისათვის

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განიხილეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სცენარებისა და ფილმების მომზადების საკითხი.

მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელს ვ. ი. ლენინს ეძღვნება მხატვრული კინოსურათები „მოთხრობა ლენინზე“, „თებერვლიდან ოქტომბრისაკენ“, „ულიანოვები“. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უდიდესი როლი საბჭოთა ხელისუფლების შექმნასა და განმტკიცებაში ასახულია ფილმებით „კომუნისტი“ — შატურის ელექტროსადგურის მშენებლებზე, „დღე პირველი“, რომლის მოქმედება წარმოებს პეტროგრადში რევოლუციის წინაღამეს, და სხვები.

მთელ რიგ კინოსტუდიებში მზადდება სურათები ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე. „მოსფილმში“ იღებენ ფილმს „დები“ ა. ტოლსტოის რომანის „ხამრობის“ მიხედვით. აქვე იდგმება ფილმი „ცეცხლოვანი ვერსები“. „ლენფილმის“ სტუდიაში იღებენ სურათს „ქარიშხალი“ ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით. მ. გორკის სახელობის სტუდია იღებს ფერად ფართოეკრანიან ფილმს სამ სერიად „წყნარი დონი“ მ. შოლოხოვის რომანის მიხედვით.

სხდომაზე აღნიშნეს ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ კინოსურათებზე მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი: სცენარების დროზე მოუმზადებლობა, წარმოებისათვის ფილმების გადაცემის გაჭიანურება. (საკ.ინ.).

★

მეჯალურგთა ახალი ვალდებულებანი

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცემენტეები, მშენებლები და მემონტაჟეები დიდი ინტერესით ეცნობიან სესიის მასალებს.

— კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, — განაცხადა მეფოლადე სერგო საყვარელიძემ, — მნიშვნელოვან ღონისძიებებს სახავენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის ძლიერება და შემდგომ გაუმჯობესდეს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. რამდენ რამეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის ახალი გეგმა 51,5 მილიონი ტონა ფოლადის გამოშვებას ითვალისწინებს. მეტი ფოლადი კი ნიშნავს მეტ იარაღ-მანქანებს, სამომხმარებლო პროდუქტებისა და მატერიალური დოვლათის სიუხვეს. რუსთავის მემარტენეები ვამაყობთ, რომ ამ სესიის მუშაობაში მონაწილეობდა ჩვენი საამქროს მეფოლადე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივანე მეტრეველი.

სესიის მუშაობის დღეებში რუსთავის მეტალურგები აძლიერებდნენ შრომითს აქტივობას. მემარტენეებმა თებერვლის პირველ დეკადაში გეგმის გადამეტებით 240 ტონა ფოლადი გამოადნეს. მოწინავე მეფოლადეებმა ახალი გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. მეფოლადე აბრამ ზარიძის ვალდებულებაა 7 ნოემბრისათვის გამოადნოს 1.700 ტონა ზეგეგმითი ფოლადი. ამავე თარიღისათვის 1.500 ტონა ზეგეგმითი ფოლადის გამოშვება იკისრეს მეფოლადეებმა მ. სპანდარაშვილმა და პ. ბაირაკოვმა.

დიდი შრომითი აღმავლობა

ქუთაისის აბრეშუმკომბინატის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა რუსთავის მეტალურგთა პატრიოტული მიმართვის პასუხად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა გაწაღდების საქმეში. ფეიქრებმა იანვარში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 23 ათასი მეტრი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი. განსაკუთრებული შრომითი აღმავლობით აღინიშნა კომბინატში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობის დღეები. კომბინატის საწარმოებმა, საამქროებმა და ცვლებმა გადაჭარბებით შეასრულეს თებერვლის პირველი დეკადის დავალება.

საამქროებსა და ბრიგადებში აგიტატორები გულდასმით აცნობენ მუშებს სესიის მასალებს.

№ 1 საქსოვი წარმოების მე-5 უბნის მუშებს 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ სესიის მიერ მიღებულ კანონებზე ესაუბრა აგიტატორი რ. ცინცაძე. მოსამზადებელი საამქროს სამასრე გადასვლის ფეიქრებთან საუბარი გამართა ამავე საამქროს ინსტრუქტორმა აგიტატორმა ლილი ღამბაშიძემ.

ქუთაისელი ფეიქრები ერთსულოვნად იწონებენ სესიის მიერ მიღებულ კანონებს. მათ გადაწყვიტეს უფრო ფართოდ გააჩაღონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და ახალი წარმატებანი მოიპოვონ მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულების საქმეში. **(საკ. კორ.).**

თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის გოგორწყვილების საამქროში აგიტატორი ლ. სოხაძე მუშებს აცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მასალებს.
ფოტო შ. გოქაძისა.

მეტი და მაღალხარისხოვანი ავეჯი სამშობლოს

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხისდამშუშავებელი ქარხნის კოლექტივი მხურვალედ იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის კანონებსა და დადგენილებებს. აგიტატორები საამქროებსა და ბრიგადებში ყოველდღიურად აწყობენ საუბრებს, მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს ესაუბრებიან მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის გეგმით დასახულ ამოცანებზე.

ავეჯის საამქროს აგიტატორმა მედაზგე ვასილ ჯანიაშვილმა დაამთავრა თუ არა საუბარი, სიტყვა აიღო ქარხნის მუშამ ალექსი ზერეკიძემ. მან თქვა:

— ჩვენი საწარმოს კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა რუსთავის მეტალურგთა მიმართვას და აღფრთოვანებით ჩაება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. კარგად დაიწყო ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება: იანვრის საწარმოო დავალება 100,3 პროცენტით შეკასრულეთ, ხოლო თებერვლის პირველი დეკადისა ვადაზე ადრე გავანაღდეთ. მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა ვიბრძოლოთ კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის. პირადად მე ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება 190-200 პროცენტით შეკასრულო, გამოვუშვა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია და ამით საკუთარი შრომითი წვლილი შევიტანო საერთო სახალხო საქმეში.

დურგალმა პეტრე დანილენკომ განაცხადა: გასულ წელს წარმოებაში ჩემი 8 რაციონალიზატორული ღონისძიება დაინერგა, რამაც ქარხანას საკმაო ფულადი ეკონომია მისცა და გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება 200-225 პროცენტით შევასრულო და განვაგრძო მუშაობა ახალ რაციონალიზატორულ წინადადებათა შესამუშავებლად.

კუიბიშევის სახელობის ქარხნის კოლექტივი თავდადებულად იბრძვის აღებულ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

ერედველთა გადაწყვეტილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობის დღეები ახალი წარმატებებით აღნიშნეს სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. ამ დღეებში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი. კოლმეურნეობამ მთლიანად მოიმარაგა და სათეს კონდიციამდე აიყვანა გაზაფხულის ქერის, სიმინდის, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების თესლი.

ეცნობიან რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს, კოლმეურნეები ვალდებულებას იღებენ დროულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ერედველებმა უკვე გაიტანეს მინდვრად 800 ტონა ორგანული სასუქი და შემოზიდეს 300 ტონა მინერალური სასუქი.

სესიის მასალების გაცნობისას მეცხოველეობის ფერმის გამგემ ო. ქელეხსაშვილმა განაცხადა:

— 260 ძროხა გვყავს. გასულ წელს თვითეულზე მივიღეთ 1.511 ლიტრი რძე, 300 ლიტრით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. წელს გადაწყვეტილი გვაქვს თვითეულ ძროხაზე მივიღოთ 1.800 ლიტრი რძე. ამას შევასრულებთ საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცებით და პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით.

სესიის მასალების გაცნობისას კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს სოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა იულია კაბულოვამ, მწველავებმა მ. ბორცვაძემ, გ. ბერუაშვილმა და სხვებმა. **(საკ. კორ.).**

★

გულდასმით ეცნობიან სესიის მასალებს

ბათუმი. (საკ. კორ.). ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ქობულეთის მტს-ში, ახალშენებლობებზე, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში აგიტატორებმა გამართეს საუბრები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ასამდე აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ეწევა საგიტაციო მუშაობას. აგიტატორმა ვ. სიხარულიძემ სესიის მასალები გააცნო ამომრჩევლებს, ვრცლად მოუთხრო მათ იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის განუხრელი აღმავლობისათვის.

ბათუმის რაიონის სოფელ ფერიის კოლმეურნეებს აგიტატორმა მ. მურვანიძემ სესიის მასალების გაცნობისას საილუსტრაციოდ ბევრი კონკრეტული მაგალითი მოუყვანა რაიონის კოლმეურნეობათა მუშაობის პრაქტიკიდან.

ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკის დირექტორმა ნ. შოთიდიმ სააგიტაციო საუბარში განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის განხორციელების და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხზე.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში, აგრეთვე პარტიის რაიონული კომიტეტებისა და მსხვილ საწარმოთა პოლიტიკური განათლების კაბინეტებში მოწყობილია სესიის მასალების გამოფენები.

800 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია

რაიონის მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებს.

სამტრედიის სამრეწველო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს სსრ კავშირის 1957 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ესაუბრა კომბინატის დირექტორი ამხ. ვ. კოპალეიშვილი. საუბრის შემდეგ მექანიკური საამქროს მოწინავე ზეინკალმა მიხეილ სერცოვმა განაცხადა:

— ახალ სახელმწიფო ბიუჯეტში კვლავ მთელი სისრულით გამოიხატა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობა ხალხის კეთილდღეობისათვის. ეს ზრუნვა ჩვენი კომბინატის მაგალითითაც დასტურდება. წელს კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენდება სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს კომბინატის აგურის ქარხნის მუშებისათვის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც 1 მაისისათვის დამთავრდება.

კომბინატის კოლექტივმა იკისრა მიმდინარე წლის 11 თვის საწარმოო გეგმა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის და გამოუშვას 800.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. **(საკ. კორ.).**

მზადეგა ადგილობრივი საგჭოეგის არჩევნეგისათვის

დეკუჯავოგის კანდიდავთა წამოყენება

თბილისი

ორი ათასამდე კაცი შეიკრიბა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის კრებაზე, რომელიც ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას მიეძღვნა.

კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. დაშნელმა. სიტყვას ამბობს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. დ. აბუთიძე. იგი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს.

კრების მონაწილეებმა ამხ. აბუთიძის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ქარხნის მოწინავე ადამიანები — ზეინკალი ნ. აბიაშვილი, დურგალი ს. ტიგრანიანი, ჩქაროსანი ხარატი ი. ჭუმბურიძე, ენერგოძალოვანი დანადგარების საამქროს უფროსი ნ. მიქაშავიძე, ქარხნის პარტკომის მდივანი დ. აბუთიძე და სხვები.

იმავე კრებაზე ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა დაასახელეს ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. კანდიდატთა შორის არიან ცნობილი მექვაბე ი. ბაბაევი, დურგალი ვ. სახნო, მღებავი ნ. ჟოვოტენკო, ინჟინერი ნ. ვაშაკიძე და სხვები, სულ 13 კაცი.

ჩოხატაურის რაიონი

საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში იმართება ჩოხატაურის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები.

ჩაის პირველი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ჩაის დამხარისხებელი საამქროს მოწინავე მუშა ლუსია სილოვანის ასული სიმონიშვილი. იგი ფაბრიკის კოლექტივში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, საწარმოო დავალებებს ყოველთვის 130-140 პროცენტით ასრულებს.

სოფელ განახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე სოციალისტური შრომის გმირმა ალექსანდრა ერქომაიშვილმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მოწინავე მეჩაიე კომკავშირელი მარგარიტა ზაქარიას ასული დოლიძე. მან შარშან გეგმის გადამეტებით მოკრიფა 1.800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სოფელ ქვემო ერკეთის კოლმეურნეებმა დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს მოწინავე მწველავი მიხეილ ქიშვარდის-ძე ჭიხვარია, სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა — რაიონში ცნობილი ჩაის მკრეფავი კომკავშირელი ეთერ ანდრიას ასული მამალაძე. გასულ წელს მან 0,7 ჰექტარზე 7 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. წელს გადაწყვეტილი აქვს იმავე ფართობზე მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბაროს 8 ათასი კილოგრამი ფოთოლი. **(„კომუნისტის“ კორ.).**

აგიტპუნქტებში

რაიონულ ცენტრში შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ ქუჩებსა და შენობებზე გაკრული ლოზუნგები, მოწოდებები, რაიონის და ცალკეული კოლმეურნეობების სამეურნეო წარმატებათა ამსახველი სტენდები, რაც საზეიმო ელფერს აძლევს ლენინგორს.

გამოცოცხლება იგრძნობა რაიონულ ბიბლიოთეკაში. აქ მოწყობილია აგიტპუნქტი, სადაც მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები ეცნობიან მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, ბროშურებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე. აქვე მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

— ამ დღეებში, — აცხადებს აგიტპუნქტის გამგე ნატო ჯიოევა, — საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეთა მოთხოვნილება საარჩევნო ლიტერატურაზე. აგიტპუნქტი მოსახლეობისათვის ხშირად მართავს ლექციებსა და მოხსენებებს საერთაშორისო თემებზე, ეწყობა კონსულტაციები საბჭოთა საარჩევნო სისტემის ცალკეულ საკითხებზე.

საარჩევნო უბნებთან შექმნილმა აგიტპუნქტებმა ფართოდ გაშალეს წინასაარჩევნო სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლმეურნეობების წინაშე მდგომ პასუხსაგებ ამოცანებთან. აგიტპუნქტებში ნახავთ მასალებს იმაზე, თუ როგორ ემზადებიან რაიონის კოლმეურნეობები მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. სოფლების წინაგრის, ლარგვისის, იკოთის და სხვ. აგიტპუნქტებში გამოფენილია სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ფოტოსურათები და მათი საწარმოო მაჩვენებლების ამსახველი მასალები.

ლენინგორის რაიონის ათეულათასობით ცხვარი ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზეა. აქ ზამთარს ატარებს ასობით ლენინგორელი მეცხვარე. საძოვრებზე შეიქმნა ორი საარჩევნო უბანი. მუშაობას შეუდგნენ აგრეთვე აგიტპუნქტები. მეცხვარეები, ემზადებიან რა არჩევნებისათვის, აძლიერებენ მუშაობას დოლის ორგანიზებულად ჩასატარებლად. **(საკ. კორ.).**

სააგიტაციო მუშაობა გაძლიერდა

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ოჩამჩირის რაიონში სააგიტაციო მუშაობას ეწევა 800-ზე მეტი აგიტატორი, რომლებიც 60-მდე აგიტკოლექტივში არიან გაერთიანებული.

სააგიტაციო მუშაობა კარგად მოაწყეს ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში, სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის, სოფელ ათარის მიქოიანის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

სოფელ აგუბედიის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ აგიტატორები მ. ხუნწარია, მ. ჯიქია, ე. ლაგვილავა სისტემატურად მართავენ საუბრებს, ამომრჩევლებს განუმარტავენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე მდგომ ამოცანებს, აცნობენ არჩევნების დებულებას, ესაუბრებიან საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ.

პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. ასეთივე გამოფენები მოეწყო ოჩამჩირის საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკებში. **(„კომუნისტის“ კორ.).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კამათი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ გ. გ. სანაკოევის სიტყვა

(ჯავის საარჩევნო ოლქი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ წარმოადგინა უმაღლესი საბჭოს განსახილველად, ასახავენ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის შემდგომ წინსვლას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელების გზით, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზით.

სსრ კავშირის მიმდინარე წლის სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებსაც უმაღლესი საბჭო განიხილავს, მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომ აყვავებასა და სწრაფ განვითარებას; ისინი ახალი თვალსაჩინო მაჩვენებელია იმისა, რომ სწორია კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფის საქმეში, იმის საშუალებაა, რომ განუხრელად მტკიცდებოდეს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება, მტკიცდებოდეს უშიშროება და მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

სოციალისტური მშენებლობის გიგანტური წარმატებანი, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ მოკლე ისტორიულ ვადაში, მკაფიოდ ადასტურებენ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების სისწორეს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობის სისწორეს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის მეოხებით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარების მეოხებით ყველა წინათ ჩამორჩენილი და ჩაგრული ხალხი და გაპირა მხარეების ეროვნებანი საბჭოთა ხელისუფლების წლებში თანასწორუფლებიანი გახდნენ. ისინი სწრაფი ნაბიჯით წავიდნენ წინ თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის გზით.

პარტიისა და მთავრობის მუდმივმა ზრუნვამ, დიდი რუსი ხალხის კეთილშობილურმა დახმარებამ სამხრეთ ოსეთი გამოიყვანა მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისა და კულტურის აყვავების ფართო გზაზე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეფის იმპერიის ყოფილი ჩამორჩენილი და ნახევრადღატაკი განაპირა მხარიდან, რომელსაც პატრიარქალური გადმონაშთები, მეურნეობის პრიმიტიული წყობა ჰქონდა, სამხრეთ ოსეთი გადაიქცა ერთერთ მოწინავე ავტონომიურ ოლქად.

წლითიწლობით იზრდება ჩვენი ოლქის ბიუჯეტი. 1925 წელთან შედარებით ოლქის ბიუჯეტი გაიზარდა 200-ჯერ, ხოლო ომამდელ, 1940 წელთან შედარებით იგი ერთიორად და მეტად გადიდდა. უკვე მარტო ეს ფაქტი მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი პატარა ერის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას და აყვავებას საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახში.

ვითარდება, იფურჩქნება კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება. ოლქს აქვს თავისი სახელმწიფო გამომცემლობა, ოსურ ენაზე გამოდის გაზეთები და ჟურნალები. მრავალრიცხოვანი ტირაჟებით გამოდის პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, მუშაობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და მთა-მდელოს სტაციონარი. აღიზარდნენ ეროვნული საბჭოთა ინტელიგენციის — პედაგოგების, ექიმების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერი მუშაკების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატების კადრები.

სამხრეთ ოსეთი დაფარულია სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების ხშირი ქსელით. თუ რევოლუციამდე ახლანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რაღაც სამოდე ათეული დაწყებითი სკოლა იყო, ახლა არის 354. ოლქში მუშაობს 37 საშუალო სკოლა, სამი ტექნიკუმი, მუსიკალური და სამხატვრო სასწავლებლები, პედაგოგიური ინსტიტუტი, სახელმწიფო თეატრი.

თუ რევოლუციამდე ყოველ ას კაცში მხოლოდ ექვსი იყო წერა-კითხვის მცოდნე, ახლა ოლქის მოსახლეობა ძალიანად წერა-კითხვის მცოდნეა. წინათ ახლანდელი ოლქის ტერიტორიას მომსახურებას უწევდა ერთადერთი უბადრუკი სამკურნალო ორი მკურნალით. ამჟამად სამხრეთ ოსეთში მუშაობს მრავალრიცხოვანი რაზმი — 853 სამედიცინო მუშაკი, მათ შორის 195 ექიმი უმაღლესი განათლებით.

დიდად განვითარდა ჩვენში ადგილობრივი და სამთამადნო მრეწველობა. 1956 წლის გეგმა ოლქის მრეწველობამ შეასრულა 102 პროცენტით, აქედან ადგილობრივმა წაწარმოებმა 117 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა წლიური დავალება სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ქვაისის ტყვია-თუთიის სამადნო სამმართველომ.

საქონელბრუნვის გეგმა, რომელიც უკანასკნელ წლებში თითქმის ერთნაირად გადიდდა, შესრულებულია 101 პროცენტით. შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფო შემოსავლისა და ძოსახლეობისაგან გადასახადების შემოსავლის გეგმა.

კეთილმოწყობილი ხდება საკოლმეურნეო სოფელი. აგებულია 11 ჰიდროელექტროსადგური, აქედან 10 საკოლმეურნეო. ოლიჩის ნათურა აინთო მთიელთა სახლებში კავკასიონის ქედის დათოვლილ მწვერვალთა ძირში.

წლითიწლობით სულ უფრო მშვენდებიან და კეთილმოწყობილი ხდებიან რაიონული ცენტრები და ოლქის ცენტრი ქალაქი სტალინირი, რომლებიც რკინიგზით არიან დაკავშირებული მთელ ქვეყანასთან.

წარმატებით ვითარდება ოლქის სოფლის მეურნეობა, აღჭურვილი ტრაქტორებით, კომბაინებითა და სხვა თანამედროვე ტექნიკით. აიგო ორი სარწყავი არხი, რომლებიც წყალს აწვდიან ოლქის დაბლობი ზონის საკოლმეურნეო მინდვრებსა და ჩვენი რესპუბლიკის მეზობელ რაიონებს.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა და სულ უფრო იზრდება ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობი. ოლქის კოლმეურნეობები ნერგავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის უფრო პროგრესულ ხერხებს, იყენებენ ფერმებში ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებას. 1953 წლიდან სილოსის ჩაყრა ერთიანად და მეტად გადიდდა. ამავე პერიოდში თითო საფურაეე ძროხის წველადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 480 ლიტრით.

შესრულებულია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმა, აგრეთვე ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ტყავის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები. პირუტყვის გამოზამთრება როგორც ოლქში, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის სამომთაბარო საძოვრებზე ორგანიზებულად მიმდინარეობს. საკოლმეურნეო პირუტყვი ძირითადად უზრუნველყოფილია სადგომებით, აგრეთვე უხეში და წვნიანი საკვებით.

მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ბევრმა სასოფლო-სამეურნეო არტელმა შარშან მარცვლეულის, ყურძნისა და ხილის კარგი მოსავალი მიიღო. ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ენერგიული მზადება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება მექანიზატორებმა ძირითადად დაამთავრეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად კოლმეურნეობები სახავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების კონკრეტულ ღონისძიებებს.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების დონე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც ახლა მას უყენებენ. წინათ დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებების გამო მთის კოლმეურნეობები, რომლებიც ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელების 70 პროცენტს შეადგენენ, ჯერ კიდევ სუსტი არიან, ეკონომიურად არ მომაგრებულან. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მთის კოლმეურნეობების სამეურნეო მდგომარეობაზე, საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი შედარება: სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელიც დაბლობში მდებარეობს, შარშან მიიღო 3 მილიონამდე მანეთი შემოსავალი, მაშინ როცა ჯავის მთიანი რაიონის ორმოცდასამივე კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი მხოლოდ 2.300 ათას მანეთს შეადგენს.

იმის შედეგად, რომ ოლქში, განსაკუთრებით მთის ზონაში, წარსულ შემოდგომაზე ძალიან ადრე დაიწყო ყინვები, ნაწილობრივ დაიღუპა თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის, აგრეთვე ხილისა და ყურძნის მოსავალი. ამავე მიზეზით მთლიანად ვერ შესრულდა საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის გეგმები.

მთის პირობებში სამუშაო სპეციალური მექანიზმების უქონლობის გამო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს არ ძალუძთ შეასრულონ სამუშაოთა საჭირო აგროტექნიკური კომპლექსი, ხოლო მინდვრებში, რომლებსაც ცოცხალი გამწევი ძალით ამუშავებენ, ბევრი კოლმეურნეობა მარცვლეული კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის მცირე მოსავალს იღებს.

ნელა მიმდინარეობს მეცხოველეობისა და სხვა საწარმოო შენობების მშენებლობა და ფერმების მექანიზაცია კოლმეურნეობებში. საკმაოდ არ არის მოგვარებული მეწველი პირუტყვის მოვლა-შენახვა, მაღალია დედაპირუტყვის ბერწიანობის პროცენტი. დაბალია ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დონე.

ბევრი ნაკლია აგრეთვე მრეწველობის მუშაობაში, კომუნალურ-საბინაო და საგზაო მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით გამოსწორდა წინათ დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენი ოლქის სამეურნეო და კულტურული განვითარების საკითხებში. აღმოფხვრილია შეცდომები მეცხოველეობის, ნათესი ფართობების, დამზადების, პურის ჩაბარების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და ახალი მშენებლობის დაგეგმვაში.

გამოსწორებულია დამახინჯებანი სახალხო განათლების საკითხებში. საქმის ინტერესებისათვის გადაჭრილია სკოლის, ალფაბეტისა და სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საქმის წარმოების საკითხები. ძირითადად განხორციელებულია და კვლავ ხორციელდება ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ოსური კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

1957 წლიდან გამოვიდა საოლქო გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ რუსული გამოცემა, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელს უწყობს იმას, რომ ოლქის მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად ეზიაროს დიდი რუსი ხალხის კულტურას.

1954 წელს აღინიშნა ოსური თეატრის დაარსების 50 წლისთავი. მიმდინარე წლის მარტში ქალაქ თბილისში გაიმართება ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

გასული წლიდან სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროსა და სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღეულთა დაცვის სამინისტროს დახმარებით შექმნილია სამხრეთ ოსეთის მუდმივი კომპლექსური გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიცია, რომელიც საძიებო სამუშაოებით მოიცავს ოლქის მთელ ტერიტორიას.

მაღლა კავკასიონის მთებში წარმატებით მუშაობს ქვაისის ტყვია-თუთიის საწარმო, გაჩაღებულია მუშაობა ერწოს სინგურის საბადოს მარაგის გამოსარკვევად, რომლის ბაზაზე აიგება ვერცხლისწყლის წარმოების ქარხანა. დაიწყეს მუშაობა აგრეთვე საძიებო პარტიებმა თუთიის, ტყვიის, სპილენძის, ქრომის, ნიკელის სამრეწველო მარაგის გამოსარკვევად ჯრიის, რაროს, ძაგინის საბადოებსა და სხვა ადგილებში.

მცირე ხალხთა საჭიროებებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ჭეშმარიტად მამობრივი ზრუნვისა და ყურადღების მკაფიო მაგალითია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 14 სექტემბრის დადგენილება. ამ გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთის მთის კოლმეურნეობების ეკონომიკის უფრო სწრაფი აღმავლობის მიზნით მათ მინიმუმამდე შეუმცირდათ და დაუწესდათ ხორცის, რძის, მატყლის დამზადების შეღავათიანი ნორმები. მთის ზონის ათი ათასი ჰექტარი გამოუყენებელი საკოლმეურნეო მიწები მთელი რიგი წლების მანძილზე სავსებით განთავისუფლებულია ყველა სახეობის ჩაბარებისა და დამზადებისაგან. ოლქის ყველა კოლმეურნეობას ჩამოაწერეს წარსული წლების დავალიანება ჩაბარების, დამზადებისა და სესხების, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადის ხაზით.

პარტიისა და მთავრობის მამობრივი ზრუნვის პასუხად ჩვენი ოლქის მშრომელნი ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ გაწეული დახმარება კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობისა და განმტკიცებისათვის, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენი ოლქის პარტიულმა ორგანიზაციამ და მშრომელებმა დამავალეს ამ მაღალი ტრიბუნიდან გადავცე ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და მშობლიურ საბჭოთა მთავრობას გულითადი და მხურვალე მადლობა უდიდესი დახმარებისათვის, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს დიდ და მცირე ერთა და ეროვნებათა განვითარებასა და აყვავებაზე ზრუნვისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! ზოგიერთი გარემოების გამო, მეურნეობის ყველა დარგის დიდი აღმავლობის მიუხედავად, ჩვენი ოლქი სერიოზულად ჩამორჩა სამრეწველო განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით სულ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და პირადად ამხ. ბაიბაკოვმა მოგვცეს თანხმობა ოლქში დაბალვოლტიანი ელექტროაპარატურის ქარხნის მშენებლობაზე. ოლქის მოსახლეობა მოელის ამ საწარმოს აგებას. უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ამ ქარხნის მშენებლობის საკითხს დუმილით უვლიან გვერდს. ჩვენ გვესმის, თუ როგორ დგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სახსრებისა და ახალი მშენებლობის საკითხი, მიუხედავად ამისა დაბეჯითებით გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ ჩვენს საჭიროებებს და დაგეგმოთ დაბალვოლტიანი ელექტროაპარატურის ქარხნის მშენებლობა ჩვენს ოლქში.

მეორე დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაჭრას ვითხოვთ, არის კურორტების მშენებლობა სამხრეთ ოსეთში. როგორც ცნობილია, ჩვენი ოლქი მდებარეობს მთავარი კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთებზე. აქ არის მთის რბილი ჰავა, წიწვიანი ტყეები, საუცხოო მთის წყაროები, მრავალი სამკურნალო მინერალური წყარო. მარტო ჯავის რაიონში არის 160-მდე მინერალური წყარო, ჯერჯერობით კი გამოყენებულია მხოლოდ ორი.

ყოველივე ეს და ამავე დროს რკინიგზასთან სიახლოვე (სულ 22 კილომეტრი) საშუალებას გვაძლევს ოლქში შევქმნათ მთელი რიგი ჩინებული კურორტები და ჯანმრთელობის კერები. მაგრამ ამ საქმეს დღემდე არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. როდესაც ამ საკითხს ვაყენებთ, ჩვენ ზოგჯერ გვეუბნებიან, რომ საქართველოში ისედაც ბევრი კურორტია. მთლიანად რესპუბლიკისათვის ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ჩვენს ოლქში ჯანმრთელობის კერა ძალიან ცოტაა. საქართველოს მთავრობამ, გაითვალისწინა რა სამხრეთ ოსეთში კურორტების მშენებლობისათვის ხელსაყრელი პირობები, სპეციალური გადაწყვეტილებით 1954 წელს იშუამდგომლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინაშე ჩვენს ოლქში საკურორტო მშენებლობის დაშლის შესახებ. მე ვთხოვ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მინისტრს ამხ. კოვრიგინას განიხილონ ეს საკითხი, გადაწყვიტონ იგი დადებითად და ამით შექმნან ჯანმრთელობის კერების დამატებითი ქსელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის.

მესამე საკითხი. ჩვენ არც ერთ რაიონში არა გვაქვს კაპიტალური შენობები კავშირგაბმულობის კანტორებისათვის. ყველა ისინი მოთავსებული არიან ძველ ხის შენობებში. საოლქო ცენტრში არ არის ავტომატური სატელეფონო სადგური. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არაერთხელ ვითხოვეთ, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმართა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, ეს საკითხები დღემდე გადაუჭრელი რჩება. ჩვენ ვთხოვთ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, მინისტრს ამხ. პსურცევს დაგვეხმაროს ამ საკითხების გადაჭრაში.

ვთხოვთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომ დროგამოშვებით ისეთი პატარა ეროვნული ოლქების, როგორიც არის ჩვენი სამხრეთ ოსეთის ოლქი, ეკონომიური და კულტურული განვითარების ცალკეული, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, განხილულ იქნას სსრ კავშირის ცენტრალურ ორგანოებში. ეს საშუალებას მოგცემთ უფრო ახლოს გაეცნოთ ამ ოლქების მოსახლეობის ცხოვრებასა და საჭიროებებს და, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს მათს შემდგომ კულტურულ და ეკონომიურ განვითარებასა და აყვავებას.

ამხანაგო დეპუტატებო! 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანებს, იგი იქნება მძლავრი ბერკეტი იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სასურსათო და სამრეწველო საქონლის სიუხვე, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ეკონომიკა და კულტურა. მე მხარს ვუჭერ წინათ გამოსული დეპუტატების წინადადებებს იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს საკავშირო მთავრობის მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი იმ შესწორებათა და დამატებათა გათვალისწინებით, რომელთა მიღებაც შესაძლებელია.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას და სახელმწიფო ბიუჯეტს ერთსულოვნად მოიწონებს, ამ დოკუმენტებს შეხვდება როგორც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის შემდგომი ბრძოლის საბრძოლო პროგრამას და ყოველ ღონეს იხმარს, რათა წარმატებით განახორციელოს ისინი.

პირობას ვაძლევ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები საქართველოს მშრომელებთან ერთად გააკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაუსახეს მათ. (ტაში).

კამათი მოხსენებების გამო მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის შესახებ საკანონმდებლოების, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის

დეპუტატ ნ. ი. მუსხელიშვილის სიტყვა

(ფოთის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! წინა სხდომაზე ჩვენ მოვისმინეთ კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. ა. იასნოვის მოხსენება ჩვენს განსახილველად წარმოდგენილ კანონპროექტზე — „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის შესახებ კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის“ და შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. ა. გედვილასის მოხსენებას ამავე საკითხზე, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა.

მე მთლიანად ვუერთდები ამ მოხსენებებში გამოთქმულ დებულებებს და დარწმუნებული ვარ, რომ კანონპროექტის მიღებას ერთსულოვნად მოიწონებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი. ეს კანონპროექტი ხომ ერთ-ერთი უაღრესად არსებითი ეტაპია, რომ განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოების შესახებ.

მოკლე პერიოდში, რომელიც პარტიის XX ყრილობის შემდეგ გავიდა, ამ მიმართულებით ბევრი ღონისძიება განხორციელდა, რაც აქ მოიხსენიეს. ამჟამად შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას, რომ ამ ღონისძიებებმა მთლიანად გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. უეჭველია, კეთილნაყოფიერ შედეგებს მოგვცემს კანონის იმ პროექტის მიღებაც, რომელსაც ამ მომენტში განვიხილავთ. მინდა მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა განხორციელებაც საჭირო იქნება ამ კანონის მიღების შემდეგ.

არც ერთი საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის მოხსენებაში არ არის აღნიშნული სისხლის სამართლის, სამოქალაქო და საპროცესო კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების მომზადებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მათი შეტანის კონკრეტული ვადები. ამავე დროს, ჩემი აზრით, ასეთი ვადები უნდა დაწესდეს, რადგან თუ ხსენებული საფუძვლები არ ექნებათ, მოკავშირე რესპუბლიკები ვერ შეიმუშავებენ და ვერ მიიღებენ თანამედროვე პირობების შესაბამის კანონმდებლობას, რომლის აუცილებელი და სასწრაფო საჭიროება ამჟამია.

საერთო-საკავშირო საფუძვლების მიღების შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებს ცოტა დრო როდი დასჭირდებათ თავიანთი კოდექსების შესამუშავებლად და მისაღებად. ამ კოდექსების შემუშავების დროს საჭირო იქნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობა, რადგან თუ თვითეული რესპუბლიკა მხოლოდ საერთო-საკავშირო საფუძვლებით იხელმძღვანელებს და არ გასწევს კონსულტაციას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან, შეიძლება მოხდეს დაუშვებელი შეუსაბამობა, როგორც, მაგალითად, სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა სასჯელის დაწესება თანაბარი დანაშაულისათვის, რაც, ჩემი აზრით, სრულიად მიუღებელია საბჭოთა კავშირისათვის, სადაც ყოველ მოქალაქეს შეუძლია დაუბრკოლებლივ, თავისუფლად გადავიდეს ერთი რესპუბლიკიდან მეორეში.

მე მგონია, რომ უნდა დაწესდეს და ამასთან რაც შეიძლება მალე ჩემ მიერ მოხსენიებული ყველა ღონისძიების და მათ მსგავს ღონისძიებათა განხორციელების ვადები. ეს ვადები, ცხადია, მცირე არ იქნება, და ამიტომ, როგორც ვფიქრობ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიდოს კანონმდებლობის ზოგიერთი მომწიფებული საკითხის გადაჭრა კოდექსების საბოლოო გაფორმებამდე. არსებული კოდექსების მოძველებული ან თანამედროვე მდგომარეობისათვის შეუფერებელი მუხლების გაუქმების ან შეცვლისათვის მუშაობა უნდა გაგრძელდეს შეუნელებელი ტემპებით, ხოლო შესაბამისი დადგენილებანი, ჩემი აზრით, გამოტანილ უნდა იქნას რაც შეიძლება მალე, არ უნდა ველოდოთ კოდექსების საბოლოო დამტკიცებას. კოდექსების საბოლოო გაფორმებისას კი ეს დადგენილებანი შეიძლება კვლავ დაზუსტდეს.

განსახილველი კანონის ქმედით განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ფრიად დაძაბული მუშაობა დასჭირდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ახლავე დაისვას იურისტთა კადრების, კერძოდ, სამართლის დარგის მეცნიერული კადრების მომზადების საქმის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების საკითხი. უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები უნდა გაფართოვდეს, მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს ამ ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი. მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში უნდა შეიქმნას სამართლის ინსტიტუტები იქ, სადაც ისინი არ არსებობენ, ან, ყოველ შემთხვევაში, სამართლის განყოფილებანი ინსტიტუტებში, რომლებიც მონათესავე საკითხებზე მუშაობენ.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა ძემდგომი გაფართოების შესახებ, უეჭველია, უნდა გამოიწვიოს ამ მიმართულებით მთელ რიგ ახალ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება. ერთ-ერთ ასეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას ჩვენ დღეს განვიხილავთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვძრა კიდევ საკითხი იმავე მიმართულებით ერთი ღონისძიების შესახებ, რომელიც უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე წინანდელი, მაგრამ მაინც საკმაოდ არსებითია. მე მგონია, რომ უმაღლესი განათლების საქმე, აგრეთვე მეცნიერული ხარისხებისა და მეცნიერული წოდებების მინიჭების საქმე ჩვენში მეტად ცენტრალიზებულია. ასეთი ცენტრალიზაცია, შესაძლოა, თავის დროზე მიზანშეწონილი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთ რესპუბლიკას საკმაო გამოცდილება არა ჰქონდა. მაგრამ ახლა, მე ვფიქრობ, დროა გადაისინჯოს ეს საკითხები: ვფიქრობ, ყველა უმაღლესი სასწავლებელი, შესაძლოა იშვიათი გამონაკლისით, რომლებიც ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს ამ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

შეიძლება ვიგულისხმოთ ასეთი დაქვემდებარების სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმა. ისინი ყურადღებით უნდა განვიხილოთ. მაგრამ უეჭველია, რომ უმაღლესი განათლებისადმი ხელმძღვანელობის გადაცემა მოკავშირე რესპუბლიკათა გამგებლობაში მას უფრო ოპერატიულს გახდის და ბევრ ნაკლს აღმოფხვრის.

რესპუბლიკური ხელმძღვანელობა, უეჭველია, მნიშვნელოვნად უფრო მოქნილი გახდება და შეძლებს უკეთ გაითვალისწინოს ადგილობრივი პირობები, რომლებსაც არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვთ უმაღლესი განათლების საქმეში ვიდრე, ვთქვათ, სამართლის საკითხებში, რომლებზეც აქ ლაპარაკობდნენ. არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ამასთან შეიძლება დაქვეითდეს სწავლების დონე ან არასაკმაოდ იქნას გათვალისწინებული საერთო-საკავშირო ინტერესები. პირიქით, რესპუბლიკური ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერება, უეჭველია, გააუმჯობესებს უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის ხარისხს.

რაც შეეხება საერთო-საკავშირო ინტერესებს, არც იმათთვის უნდა ვშიშობდეთ, რადგან არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკა არ დაუშვებს იმას, რომ უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობა შემოიფარგლოს მოცემული რესპუბლიკის ინტერესებით, და თვით უმაღლესი სასწავლებელიც არასოდეს არ დაადგება ამ გზას. გარდა ამისა, ჩემი წინადადება სრულიადაც არ გამორიცხავს საერთო-საკავშირო ორგანოს არსებობას, რომელიც მოაწესრიგებს ამა თუ იმ ფორმით უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის იმ მხარეებს, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ. პირიქით, მე მიმაჩნია, რომ ასეთი საერთო-საკავშირო ორგანო მეტად სასურველია იმ პირობით, რომ იგი საკმაოდ მოქნილი და ოპერატიული იყოს. ამის დასამტკიცებლად მე შემიძლია დავიმოწმო მრავალი წლის მდიდარი და ამასთან მეტად დადებითი გამოცდილება ანალოგიურ დარგში, სახელდობრ გამოცდილება მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების მუშაობისა, რომლებიც, როგორც ცნობილია, ექვემდებარებიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს. ამ აკადემიების უმრავლესობა შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალების ბაზაზე, რომლებიც სათანადო რესპუბლიკებში იყო. დამოუკიდებელ აკადემიებად ფილიალების გარდაქმნის შემდეგ მეცნიერული მუშაობა იქ არათუ არ შესუსტებულა, არამედ განვითარდა გაცილებით უფრო ინტენსიურად.

ამხანაგო დეპუტატებო! ეჭვი არ არის, რომ ჩვენს განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება, ისევე როგორ შემდგომ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების შესახებ, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, კიდევ უფრო გააძლიერებს მათს ურთიერთ მეგობრობას, მათს ურთიერთ პატივისცემას და კიდევ უფრო ძლიერსა და ურყევს გახდის საბჭოთა კავშირს. (ტაში).

საბჭოთა საქართველოს 36-ე წლისთავისათვის

საქართველო—მძლავრი ინდუსტრიული რესპუბლიკა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ისტორიული 1921 წლის 25 თებერვლიდან დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მეფის რუსეთის იმპერიის ჩაგრული და ჩამორჩენილი კუთხის — საქართველოს ხალხის წინაშე გაიღო სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და კულტურის აყვავების წინათ დახშული კარი, შეიქმნა უდიდესი შესაძლებლობანი საწარმოო ძალთა პროპორციული განვითარებისა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბაზაზე. მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარება, რაც მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდ უპირატესობას წარმოადგენს კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით, უზრუნველყოფს ქვეყნის ბუნებრივი და შრომითი რესურსების მაღალი ეფექტით გამოყენებას, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელ აღმავლობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკა, სახელოვანი კომუნისტური პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად, მომძე ხალხების, უწინარეს ყოვლისა კი დიდი რუსი ხალხის დახმარებით, გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად უაღრესად განვითარებული სოფლის მეურნეობით.

რას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკა წინათ და რას წარმოადგენს ახლა? მეფის რუსეთის საერთო ჩამორჩენილობის ფონზეც კი საქართველოს ეკონომიკის უმწეობას და მეტისმეტ სისუსტეს მოწმობს შემდეგი: 1913 წელს რუსეთში მრეწველობის მიერ გამომუშავებული საერთო პროდუქციიდან ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 78 მანეთის პროდუქცია, ხოლო საქართველოში — 18 მანეთის პროდუქცია. საქართველოს, რომელიც ესოდენ მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, არ გააჩნდა არც ერთი მნიშვნელოვანი სომძლავრის ჰიდროელექტროსადგური, გამოყენებული არ იყო სათბობის ბაზა, უამრავი სამრეწველო ნედლეული აქედან სხვაგან მიჰქონდათ, რათა უკან შემოეტანათ ამ ნედლეულის გადამუშავებით მიღებული სამრეწველო სამომხმარებლო საქონელი.

ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა — მეწშევიკებმა თავისი ბატონობის პერიოდში საქართველოს სახალხო მეურნეობა კიდევ უფრო გააჩანაგეს და გააპარტახეს. მათ არათუ არ განუვითარებიათ რესპუბლიკის ეკონომიკა, არამედ გაანადგურეს და დაანგრიეს ის მცირე საწარმოებიც კი, რაც მემკვიდრეობად მიიღეს მეფის რეჟიმის დამხობის შედეგად.

დღეს კი ქართველი ხალხი დამსახურებულად ამაყობს თავისი ინდუსტრიით, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურებით, ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით მოწყობილი შახტებით, მაღაროებით, ფაბრიკებით, გიგანტური ქარხნებით, სამელიორაციო და საირიგაციო სისტემებით, მაღალკვალიფიციურ მუშათა კადრებით, მძლავრი ტექნიკური ინტელიგენციით.

იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ წინ წავიდა და განვითარდა საქართველოს სახალხო მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მოვიყვანთ რამდენიმე მაჩვენებელს:

1955 წელს საქართველოს მრეწველობის მიერ გამოშვებული საერთო პროდუქცია 27-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1913 წელს გამომუშავებული პროდუქცია. 1928 წელს მძიმე მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობაში უდრიდა 23,2 პროცენტს, ხოლო 1950 წელს — 45,7 პროცენტს. 1932 წლიდან 1955 წლის ბოლომდე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაბანდებულ იქნა 23 მილიარდ მანეთზე მეტი. ამ თანხის ნახევარზე მეტი — 12,5 მილიარდი მანეთი ათვისებულ იქნა მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ასეთი დიდი თანხების დაბანდების შედეგად მარტო სამამულო ომის შემდგომ წლებში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი ფონდები 5,5-ჯერ გადიდდა.

მეხუთე და მეექვსე ხუთწლედებში მრეწველობის ზრდის საერთო პროცესში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება. მაგალითად, მეხუთე ხუთწლედში მარგანეცის მოპოვება გაიზარდა 60 პროცენტით, ლითონდამამუშავებელი და მანქანათმშენებელი ქარხნების მიერ პროდუქციის გამოშვება — 86 პროცენტით, ლითონდასამუშავებელი ჩარხების გამოშვება — 57 პროცენტით.

ამავე დროს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს მუშაობის კულტურის ამაღლებისათვის, ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვისათვის, შრომის მექანიზაციისათვის ბრძოლაში. მარტო მეხუთე ხუთწლედში ლითონდასამუშავებელი ჩარხების პარკი მრეწველობის საწარმოებში ორჯერ გადიდდა. თუ 1932 წელს საწარმოო პროცესების შესასრულებლად მუშა იყენებდა ელექტროენერგიას განსაზღვრული რაოდენობით, 1940 წელს მუშა იყენებდა 1,4-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ხოლო 1955 წელს — 8.3-ჯერ მეტს. ამავე დროს სამრეწველო საწარმოთა მუშების რაოდენობა მეხუთე ხუთწლედში გადიდდა 35 პროცენტით, ხოლო თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 29 პროცენტით გაიზარდა.

ზრდის ეს ტემპი გრძელდება მეექვსე ხუთწლედშიც. როგორც ცნობილია, პარტიის XX ყრილობის დირექტივებით მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა 1,6-ჯერ. ელექტროენერგიის გამოშვება ჩვენს რესპუბლიკაში უნდა გადიდდეს დაახლოებით 1,8-ჯერ, თუჯის გამოდნობა — 1,6-ჯერ, ნაგლინის გამოშვება და მარგანეცის მადნის ამოღება — 1,5-ჯერ, ქვანახშირის ამოღება — 1,4-ჯერ, აზოტოვანი სასუქების წარმოება — 8-ჯერ, ცემენტის გამოშვება — 3,1-ჯერ, ბამბის ქსოვილების გამოშვება — 2,8-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 1,4-ჯერ, ყურძნის ღვინისა — 1,8-ჯერ და ჩაის გამოშვება — 1,3-ჯერ.

საქართველო იძლევა მთელ რიგ ისეთ პროდუქციას, რომელიც საჭიროა სხვადასხვა რესპუბლიკის, მხარის, სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სახალხო მეურნეობისათვის. ასეთია, მაგალითად, ჭიათურის მაღალხარისხოვანი მარგანეცის მადანი, მთლიანნაგლინი ფოლადის მილები, რომლებსაც რუსთავი გვაძლევს, ქუთაისელი ავტომობილმშენებლების თვითმაცლელი და ბამბის სახიდი ავტომანქანები, ზოგი მოდელის სახარატო ჩარხები, რადიოტექნიკური აპარატურა, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები და ა. შ.

საქართველო მდიდარია იშვიათი წიაღისეულით. ჩვენი რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო საგანძურში მეტად მნიშვნელოვანია. ბარიტი, დიატომიტი, გუმბრინი, ანდეზიტი, ასკანიტი, ფერადი მარმარილო დიდი რაოდენობით მიდის საქართველოდან საერთო-საკავშირო სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დასაფარავად.

მძიმე მრეწველობის, ე. ი. წარმოების საშუალებათა მწარმოებელი საწარმოების გვერდით საქართველოში დიდად განვითარდა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგები, რომლებიც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის პროდუქციას გვაძლევენ. საქართველო განთქმული გახდა თავისი ჩაით, სუფრის ღვინოებით, საბჭოთა შამპანურით, უმაღლესი ხარისხის თამბაქოთი და თამბაქოს ნაწარმით, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებით, მინერალური წყლებით, აბრეშუმის, შალისა და ბამბის ქსოვილებით.

* * *

ახლა ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი ინდუსტრიული ზრდისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, უწინარეს ყოვლისა, ისეთი დარგების უპირატესი ზრდის უზრუნველყოფას, ურომლისოდაც მოუხერხებელია რესპუბლიკის ეკონომიკის კომპლექსური განვითარება. ასეთი დარგებია ელექტროენერგეტიკა და ქვანახშირის მრეწველობა.

ბუნებრივია, რომ თუ არ შევქმენით მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, ისე ძნელი იქნება ტრანსპორტის შემდგომ განვითარებაზე, სოფლის მეურნეობის პროცესთა მექანიზაციაზე ლაპარაკი. მაგრამ ამასთან კვლავწარმოების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საშენ მასალათა მრეწველობა. რასაკვირველია, რესპუბლიკის ეკონომიკის კომპლექსური განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გადიდება.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის კომპლექსური განვითარებისათვის დიდი მუშაობაა გაწეული. ჩვენი საფეიქრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის, ავეჯის საწარმოების ამოცანაა დაკმაყოფილონ თვითანთი პროდუქციით რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მოთხოვნილება. სოციალისტური მრეწველობის კომპლექსური, გეგმაზომიერი განვითარება შესაძლებელია მეურნეობის მხოლოდ სოციალისტური ორგანიზაციის ვითარებაში.

ცნობილია, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა იწვევს სახალხო მეურნეობის, მაშასადამე, მრეწველობისაც, ცალმხრივ, არაკომპლექსურ განვითარებას. ეს საწარმოო ძალთა (განსაკუთრებით კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში) არათანაბარი განლაგების შედეგია. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ ირანის ეკონომიკა.

მოსახლეობის რაოდენობისა და ტერიტორიის სიდიდის მიხედვით ირანი დიდად აღემატება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას, ხოლო ინდუსტრიული სიმძლავრის მიხედვით, პირიქით, იგი ახლა ვერ შეედრება საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ ირანში ენერგეტიკის განვითარების დიდი შესაძლებლობებია, ამ ქვეყნის ენერგეტიკა მაინც ჩამორჩენილია.

საქართველოს ელექტროსადგურები ამჟამად გვაძლევენ 9-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე შეუძლიათ გამოიმუშაონ ირანის ელექტროსადგურებმა.

ელექტროენერგიის გამომუშავებისა და საერთო-სამრეწველო განვითარების მხრივ საქართველოს მრეწველობის სომძლავრე ბევრად აჭარბებს მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების სიმძლავრეს. მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე 10-ჯერ მეტი ელექტროენერგია მოდის, ვიდრე თურქეთში. მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაში საქართველომ ბევრად ჩამოიტოვა უკან თურქეთი, ესპანეთი, მექსიკა და ა. შ. 1955 წელს საქართველოში მოსახლეობის ერთი სულის მიხედვით გამომუშავებული იყო 145 კილოგრამი ფოლადი, ესპანეთში — 37,9 კილოგრამი, მექსიკაში — 14 კილოგრამი, ხოლო თურქეთში — მხოლოდ 7,3 კილოგრამი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე გადიდდა 80-ჯერ, ელექტროენერგიის გამოშვება კი გაიზარდა 110-ჯერ. მიუხედავად ამისა, ჩვენში მაინც იგრძნობა ელექტროენერგიის დეფიციტი, რაც მოწმობს ჩვენი სახალხო მეურნეობის უაღრესად სწრაფ განვითარებას. ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღის წესრიგის ამოცანად გვისახავენ ენერგეტიკული მშენებლობის ტემპების გაძლიერებას.

როდესაც 1927 წელს ზაჰესის პირველი ტურბინგენერატორი აამუშავეს, საბჭოთა ხელისუფლების მტერთა ბანაკში გაისმოდა გველური სისინი იმის შესახებ, რომ ზაჰესს ბოლშევიკები ვერ მოუვლიან, მის სიმძლავრეს საქართველოს სახალხო მეურნეობა ვერასოდეს ვერ აითვისებს, მის აგებაზე გაწეული ხარჯი წყალში გადაყრილიაო. მოხდა პირიქით. ზაჰესი და მის შემდეგ ამუშავებული კიდევ უფრო მძლავრი სხვა ჰიდროელექტროსადგურები, აგრეთვე თბოელექტროსადგურები ვეღარ ფარავენ მზარდ მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. ელექტროენერგიის გამომუშავების ბიუდჯეთ საქართველომ გაუსწორო არა მარტო ირანსა და თურქეთს, არამედ საბერძნეთს, ვენესუელას, ისრაელს, პაკისტანს, პორტუგალიას და ა. შ.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ შენდება ახალი, მძლავრი ჰიდროცენტრალები, დაწყებულია ან ახლო ხანში დაიწყება კიდევ უფრო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. მათი ამუშავების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება ჩვენი რესპუბლიკის ენერგოშეიარაღება, უფრო სწრაფად განვითარდება ჩვენი ინდუსტრია და ამაღლდება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა.

* * *

დიდმა ლენინმა ქვანახშირს უწოდა „მრეწველობის პური“. ჩვენში ქვანახშირის მოპოვება საბჭოთა ხელისუფლებამდე წარმოებდა მხოლოდ ტყიბულში, სადაც ყოველწლიურად მოპოვება 60 ათას ტონას არ აღემატებოდა. ქვანახშირის მოპოვების ასეთი დაბალი დონე ჩვენი მრეწველობის ჩამორჩენის უტყუარი მაჩვენებელი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას, როგორც სახალხო მეურნეობის აღმავლობის აუცილებელ წინაპირობას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. უკვე 1940 წელს რესპუბლიკაში ქვანახშირის ამოღება 625.000 ტონამდე გაიზარდა. ახლა კი შედარებაც აღარ შეიძლება ომამდელ დონესთან, იმდენად მეტ ქვანახშირს აძლევენ სახალხო მეურნეობას ტყიბულელი, ტყვარჩელელი და ახალციხელი მეშახტეები.

ქვანახშირზე მოთხოვნილება რესპუბლიკაში განუხრელად იზრდება, მაგრამ ამასთან იზრდება ამ წიაღისეულის გამოვლინებული რესურსებიც, შენდება ახალი შახტები, მზადდება ახალი ჭრილები, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ინდუსტრიის შემდგომ ზრდას.

ენერგეტიკის, კერძოდ ჰიდროენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ბაზაზე საქართველოში აღმოცენდება ახალი ინდუსტრიული საწარმოები, რომლებიც ჩვენი მრეწველობის სიამაყეს შეადგენენ. ასეთი საწარმოებია ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, სადაც განხორციელებულია სრული მეტალურგიული ციკლით მუშაობა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც გვაძლევს იშვიათ ფეროშენადნობებს, მათ შორის ისეთ ძვირფას შენადნობს, როგორიც არის ლითონსური მანგანუმი, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტომობილმშენებელი ქარხანა და სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, გორის ბამბეულის საფეიქრო კომბინატი, ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა თბილისში, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა და მრავალი სხვა დიდი საწარმო.

ამჟამად საქართველოში საფუძველი ეყრება სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, ჩაის მეურნეობაში საჭირო მექანიზმების წარმოებას. სამთო ტრაქტორების, ჩაის საკრეფი, ჩაის ფოთლის დამხარისხებელი და სხვა ასეთი მანქანების სერიულად გამოშვება პირველი სიტყვა იქნება მანქანათმშენებლობის განვითარების ისტორიაში და ეს პირველი სიტყვა საქართველოს სახელოვანმა მანქანათმშენებლებმა, ჩვენმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა უნდა თქვან. ეს მანქანები საშუალებას მოგვცემენ მოვახდინოთ მთელ რიგ შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია, ადამიანი გავათავისუფლოთ მძიმე შრომისაგან.

მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპების გაძლიერება განსაკუთრებული სომკვეთრით იგრძნობა უკანასკნელ წლებში, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მწყობრში ჩადგნენ ახალი, მძლავრი ჰიდროცენტრალები, ელექტრომრეწველობის მთელი რიგი საწარმოები, სათბობის ზუსტი აპარატურის საწარმოები და მთელი რიგი ახალი ფაბრიკა-ქარხნები.

სწრაფად ვითარდება ჩვენში მსუბუქი და კვების მრეწველობაც. 1955 წლის ბოლოსათვის ბამბის ქსოვილების წარმოება რესპუბლიკაში 1950 წლის დონესთან შედარებით გაიზარდა 26,5 მილიონ მეტრამდე ანუ 5-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილებისა — 17,7 მილიონ მეტრამდე ანუ 2,4-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 4,3 მილიონ მეტრამდე, ფეხსაცმლის გამოშვება 7,9 მილიონ წყვილამდე და ა. შ. გაიზარდა აგრეთვე კვების პროდუქტების გამოშვება. მეხუთე ხუთწლედში შაქრის ფხვნილის გამოშვება გაიზარდა 18 პროცენტით, ჩაის გამოშვება — 46 პროცენტით, ყურძნის ღვინისა — 46 პროცენტით, კონსერვებისა — 51 პროცენტით, ყველისა — 88 პროცენტით, მცენარეული ზეთისა — 50 პროცენტით.

საქართველო მოფენილია მძლავრი ინდუსტრიული კერებით, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი დაბებით. აღმოცენდნენ ახალი ქალაქები (ტყიბული, ტყვარჩელი, მეტალურგთა ქალაქი რუსთავი), მუშათა ახალი დაბები კვაისაში, აგარაში, ზესტაფონში, რესპუბლიკის მრავალ სხვა კუთხესა და რაიონში.

საქართველო, რომელიც წინათ ღარიბი იყო სპეციალისტებით, ინჟინერ-ტექნიკოსებით, დღეს იმდენად მდიდარია ტექნიკური ინტელიგენციით, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც უწევს დახმარებას თავისი კადრებით. მარტო ორმა უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა — საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურმა და თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტებმა თავიანთი არსებობის პერიოდში რესპუბლიკას მისცეს 20 ათასზე მეტი მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებულმა სესიამ მოიწონა სსრ კავშირის 1957 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და დააწესა 1957 წლის ბიუჯეტები მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკისათვის დაწესებული ბიუჯეტი 1956 წლის ბიუჯეტთან შედარებით საგრძნობლად გადიდებულია და შეადგენს 3.621.197 ათას მანეთს. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია, იგი ნათლად მოწმობს იმას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება.

მეექვსე ხუთწლედი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მისი ინდუსტრიის შემდგომი სწრაფი აღმავლობის პერიოდი იქნება. ამის თავდებია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა და ქართველი ხალხის მზადყოფნა თავდადებით იმუშაოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად, პარტიის XX ყრილობის მიერ შემუშავებული კომუნისტური მშენებლობის დიდი პროგრამის განსახორციელებლად.

ირ. მიქელაძე.

ელექტროსადგურთა სიმძლავრეებისა და ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა 1913 წელთან შედარებით



ქვანახშირის მოპოვების ზრდა 1913 წელთან შედარებით



36 წელი საბჭოთა საშუალო აღმოსავლეთის საზღვრების საგუშაგოზე

დღეს სრულდება საბჭოთა მესაზღვრე ჯარების 36-ე წლისთავი. დიდი ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილმა და კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა მესაზღვრე ჯარებმა შესანიშნავი სამრძოლო გზა განვლეს. საბჭოთა საზღვრების დაცვის ისტორია საბჭოთა სახელმწიფოს მრავალი მტრის წინააღმდეგ, იმპერიალისტურ დაზვერვთა აგენტურის წინააღმდეგ ჩვენი მეომრების განუწყვეტელი ბრძოლის ისტორიაა. ასობით მესაზღვრემ ჩვენი სამშობლოს მტრებთან შეიარაღებულ შეტაკებებში სამუდამოდ უკვდავყო თავისი სახელი.

საბჭოთა ადამიანებისათვის კარგად ცნობილია უშიშარი მესაზღვრეების ანდრია კორობიცინის, ვალენტინ კოტელნიკოვის, ალექსი ლოპატინის, სიმონ პუსტელნიკოვის, პეტრე ოვჩინიკოვის, ივანე ვასიუხნის, ტიმოთე ლიუქშინის, ივანე გოლუბეცისა და ბევრი სხვა მამაცი მეომრის ვმირობა, რომლებმაც სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშები გვიჩვენეს.

საბჭოთა მესაზღვრეებს არბერთგზის მოუხდათ მოეგერიებინათ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა რეგულარული ჯარების შემოტევა, ებრძოლათ და გაემარჯვათ რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგეზე.

მტრებთან გაიფთრებულ შეტაკებებში, ხასანის ტბასთან, ხალხინ-გოლის რაიონში, კარელიის ყელზე წარმოებულ ბრძოლებში, საზღვარზე ყოველდღიურ დაძაბულ სამსახურში იქედგმოდა მესაზღვრეთა საბრძოლო ტრადიციები —უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სიფხიზლე, მამაცობა, გულადობა, გამძლეობა, უნარი ბრძოლისა არა სომრავლით, არამედ მოხერხებით, სიმტკიცე სიძნელეთა დაძლევაში, მეზობარე სიძულვილი ჩვენი სახელმწიფოს მტრებისადმი.

ეს სასახელო ტრადიციები განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამამული ომის წლებში. გაუმკლავდნენ რა საზიზღარი და ვერაგი მტრის მოულოდნელ დარტყმას, მესაზღვრეები ლომგებივით იბრძოდნენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და იცავდნენ მშობლიურ საზღვრებს.

გმირულ ბრძოლებში საზღვარზე 1941 წლის ივნისში მესაზღვრეებმა თავგასულ დამპყრობლებს უჩვენეს, თუ რა დიდი გმირობის ჩადენა შეუძლიათ საბჭოთა მეომრებს, რომლებიც თავიანთ სამშობლოს, თავიანთ ხალხს იცავენ. მესაზღვრენი, რომლებიც შემდეგ მოქმედი არმიის შენაერთებსა და ნაწილებს შეუერთეს, სანიმუშოდ ასრულებდნენ მათთვის დაკისრებულ ამოცანებს დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა მაღალი შეფასება მისცა მესაზღვრეთა სამრძოლო მოქმედებას. ერთ-ერთ თავის სტატიაში იგი წერდა:

„პირადად მინახავს და არასოდეს არ დამავიწყდება, თუ რა მამაცურად და მტკიცედ იბრძოდნენ მესაზღვრეები... მუდამ იმედი მქონდა ფრონტის იმ უბნებისა, სადაც თავდაცვაში იდგნენ თუ შეტევაზე მიდიოდნენ მესაზღვრე ჯარები“.

სამშობლოს დაცვისას მამაცობისა და გულადობისათვის ათეულ ათასობით მესაზღვრე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 103 მესაზღვრეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მესაზღვრე ჯარების ბევრი ნაწილი დაჯილდოებულია ორდენებით, მიღებული აქვთ იმ ქალაქების საპატიო სახელწოდება, რომელთა განთავისუფლებაში მონაწილეობას იღებდნენ.

ომისშემდგომ პერიოდში მესაზღვრე ჯარები ფიზიკურად დანან საბჭოთა კავშირის წმიდა საზღვრების, ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საგუშაგოზე. საზღვრის მეომრები საჭირო დასკვნებს აკეთებენ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებიდან — დაუცხრომლად აძლიერებენ სიფხიზლეს და საბრძოლო მზადყოფნას.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანს იცავენ ამიერკავკასიის მესაზღვრეები. ჯარების სასახელო საბრძოლო ტრადიციების ერთგულნი, ისინი ღირსეულად ასრულებენ თავიანთ საპატიო მოვალეობას. თავიანთ დღესასწაულს — მესაზღვრე ჯარების 36-ე წლისთავს — ჩვენი ოლქის მეომრები მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან. საგუშაგოებსა და ხომალდებზე გაიზარდნენ ფრიადოსანთა, საკლასო სპეციალისტთა რიგები. ასობით ნიჭიერი მეომარი სამსახურსა და სწავლაში წარმატებისათვის დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „წარჩინებული მესაზღვრე“. მათ შორის არიან ნიკოლოზ შუმილოვი, ივანე მოლდავანენკო, ნოდარ ჭალაღანიძე, ტიმოთე არტემოვი, ვიაჩესლავ მალახოვი და ბევრი სხვა.

საუკეთესო მეომართა შორის საუკეთესონი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დიდი სიფხიზლით სამსახურში, არიან ანატოლ დეულინი, გრიგოლ ხრომიხი, მიხეილ ბირბიჭაშვილი, ვალენტინ ტუგოვი, ანანია ტატოვი, ვასილ სელიავრსტოვი, რომლებსაც მიენიჭათ მთავრობის ჯილდო — მედალი „წარჩინებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში“.

ოლქის ჯარებში მსახურობს მამაცი მზვერავი, საზღვრის დაუღალავი დამცველი ნიკიტა თევდორეს-ძე კარაცუბა. თავისი სამსახურის წლებში მან დააკავა საზღვრის 400-ზე მეტი დამრღვევი, ბრძოლებში მოსპო 29 ბანდიტი, რომლებმაც დანებება არ ისურვეს და სიკვდილით ემუქრებოდნენ მას. ამჟამად იგი ასწავლის ახალგაზრდა მზვერავებს, გადასცემს მათ თავის ღიდარ გამოცდილებას.

სახელმწიფო საზღვრის დაცვაში მესაზღვრეებს ეხმარებიან საქართველოს მშრომელები —სასაზღვრო სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებნი. საბჭოთა მეომრებს ძალა ეტყოდა ის, რომ ასეთი ასეულ-ასეულ ადამიანებისგან შემდგარი ფართო შერეული ტიტოლი საქართველოს ყველა სოფელში გამოჩნდეს უცნობი, რომ ამან ერთბაშად გამოიწვიოს ადგილობრივ მცხოვრებთა სათანადო რეაგირება.

...დილაადრიან ერთ-ერთ ჩვენს საგუშაგოზე მოირბინა პატარა ბიჭმა. სამი კილომეტრი გამოერბინა მას ძლიერ წვიმაში, რათა ეცნობებინა, „ჩვენს სოფელში უცხო კაციაო“. განგაშზე მისულმა მესაზღვრეებმა დაიკავეს საზღვრის დამრღვევი. ასეთი ფაქტი ერთეული როდია. გასულ წელს ოლქის უბანზე სასაზღვრო სოფლებისა და ქალაქების მშრომელებმა დაიკავეს საზღვრის რამდენიმე დამრღვევი, საშიში სახელმწიფო დამნაშავენი.

ოლქის მესაზღვრეებისათვის კარგად ცნობილია კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი მიხეილ დურსუნის-ძე წულუკიძე — ნამდვილი საბჭოთა პატრიოტების ოჯახის მეთაური. მიხეილ დურსუნის-ძე, მისი მეუღლე ოზმეიან ახმეტის ასული, ძმა ხარუნი, ქალიშვილი ნადეჟდა და დედა აიშე ჯასიმის ასული მრავალი წლის მანძილზე აქტიურ დახმარებას უწევენ მესაზღვრეებს. გაბედული და მტკიცე მოქმედებისათვის, რაც მტრის მზვერავის დაკავებისას გამოიჩინა, მ. დ. წულუკიძე დაჯილდოებულია მედლით „წარჩინებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში“, ხოლო მისი ცოლი — ძვირფასი საჩუქრით.

მედალი „წარჩინებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში“ მიეკუთვნათ ადგილობრივ მცხოვრებთ ი. ი. წიკურავაძეს, კ. ლ. ჯაბნიძეს, ა. ი. ჩერქეზაშვილს, რ. ტ. გვაძაბიას და ბევრ სხვას.

მესაზღვრეები თავის მხრივ დიდ დახმარებას უწევენ სასაზღვრო რაიონების მოსახლეობას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლობითი მუშაობის მოწყობაში, მონაწილეობენ სამეურნეო ღონისძიებებში. ამჟამად საზღვრის მეომრები დახმარებას უწევენ ადგილობრივ ორგანოებს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში.

ძნელ წუთში მესაზღვრეები დახმარებას უწევენ ადგილობრივ მცხოვრებთ. ამ ცოტა ხნის წინათ ასეთი შემთხვევა იყო: რიგითმა მეომარმა ზეზიულინმა გუშაგის მოვალეობის შესრულებისას შეამჩნია ცეცხლი, რომელიც კოლმეურნე ო. ბერესელიძის სახლის ფანჯრებში გამოდიოდა. ეს დაუყოვნებლივ შეატყობინა საგუშაგოს უფროსს. რამდენიმე წუთის შემდეგ შემთხვევის ადგილას მივიდა მესაზღვრეთა ჯგუფი ოფიცრის მეთაურობით. მეომართა ნაწილმა დაიწყო ქონების გადარჩენა, ხოლო დანარჩენებმა ცეცხლთან ბრძოლა დაიწყეს. ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. მაგრამ ჯარისკაცები ამას არ დასჯერდნენ. მათ გადაწყვიტეს დახმარებოდნენ კოლმეურნე ბერესელიძეს სახლის აშენებაში. მთიანი ადგილის ძნელ პირობებში მათ დაამზადეს და შშენებლობის ადგილას მიიტანეს ხე-ტყე. საგუშაგოზე აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მუშაობაში როგორც ხეროებმა და დურგლებმა. ბერესელიძის ოჯახმა და მისმა თანასოფლელებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს მესაზღვრეებს მათი კეთილშობილური საქციელისათვის.

თავდადება გამოიჩინეს იმ ხომალდის მესაზღვრე მეზღვაურებმა, რომლებსაც ოფიცერი ვ. იზერგინი მეთაურობს. ქარიშხლის ძნელ პირობებში მათ გადაარჩინეს მეთევზეები და მათი გემი, რომლებმაც ავარია განიცადეს. ბევრი ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეიძლება. ყველა ეს მაგალითი მოწმობს ჩვენი მეომრების კეთილშობილურ გრძნობებსა და განზრახვებს, მათს განუყრელ კავშირს მოსახლეობასთან. ეს სასახელო ტრადიცია საჭიროა ყოველნაირად განმტკიცდეს და გაფართოვდეს. უნდა ვესწრაფოდეთ იმას, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ უფრო აქტიური, უფრო ეფექტიანი დახმარება გაუწიოს მესაზღვრეებს, მუდამ და ყველაფერში მაღალ სიფხიზლესა და გამჭრიახობას იჩენდეს.

უკანასკნელი დროის ამბები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ რეაქციულ ძალებს და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს ხელი არ აუღიათ ყველა ხალხის მიერ დაგმობილ „ცივი ომის“ პოლიტიკაზე, არამედ, პირიქით, უფრო გ

უცხოეთის პრესის გამოხმაურება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის მოხსენების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

უცხოეთის პრესის ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ბევრი ქვეყნის გაზეთებს იგი მიიჩნიათ უმნიშვნელოვანეს საგარეოპოლიტიკურ დოკუმენტად, რომელიც მოწმობს საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ მშვიდობასმოყვარულ პოლიტიკას.

ბერლინის გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დ. ტ. შეპილოვის მოხსენების ძირითადი დებულებანი გამოაქვეყნა დიდი სათაურით: „საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის მომავალი, უნდა გადაწყვიტოს მშვიდობიანმა შეჯიბრებამ“. ათავსებს რა მოხსენების შინაარსს, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორი მოპირისპირე საზოგადოებრივი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია.

პოლონეთის გაზეთები „ტრიბუნა ლიუდუ“, „ეიცე ვარშავი“, „გლოს პრაკი“, „ეოლნეკ ვოლნოსტი“ და სხვები ბეჭდავენ დ. ტ. შეპილოვის მოხსენების შინაარსს. „ეიცე ვარშავი“ სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალისტური ბანაკი იყო და რჩება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მთავარი ციხესიმაგრე.

ინდოეთის გაზეთები დ. ტ. შეპილოვის მოხსენების დაწვრილებითს შინაარსს აქვეყნებენ პირველი გვერდის თვალსაჩინო ადგილზე დიდი სათაურებით. გაზეთი „ინდიან ექსპრესსი“ სათაურში ნათქვამია: „დასავლეთ აზიაში მშვიდობის საბჭოთა გეგმა. შეპილოვი მოითხოვს შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის იარაღის მიწოდებაზე უართიერო უარის თქმას, საერთაშორისო ეკონომიური თანამრის მოწვევას, იწონებს ინდოეთის კონსტრუქციულ პოლიტიკას“. „ჰინდუსტან ტაიმსი“ სათაურში წერს: „საბჭოთა კავშირი სახავს შუა აღმოსავლეთისათვის მშვიდობის გეგმას ექვსი პუნქტისაგან. დიდი სახელმწიფოების ჩაურევლობა, ბაზების ლიკვიდაცია. საჭირო არ არის სამხედრო კავშირები. შეპილოვმა გამოაცხადა ახალი წინადადებანი დასავლეთის მიმართ“. გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი „სავსებით უპირს მხარს ეგვიპტის უფლებებს“.

კომენტარს უკეთებს რა დ. ტ. შეპილოვის მოხსენებას, ეგვიპტის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობიმოყვარულ ხასიათს, რომ იგი ესწრაფვის სადავო საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი ძირითადი პრინციპების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს დეკლარაციას ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების და ამ რაიონს ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე.

გაზეთი „ალ-ზაბი“ მოხსენებას აქვეყნებს დიდი სათაურით მთელ პირველ გვერდზე: „საბჭოთა წინადადებანი შუა აღმოსავლეთის პრობლემების მოწესრიგების შესახებ“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირი მოუწოდებს დასავლეთის ქვეყნებს ითანამშრომლონ შუა აღმოსავლეთის ეკონომიური აყვავების უზრუნველყოფის მიზნით, რაიმე პოლიტიკური თუ სამხედრო პირობების წაუყენებლად“.

ეგვიპტის გაზეთები მიესალმებიან მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის მოწვევის იდეას და აღნიშნავენ, რომ ასეთი კონფერენცია შეიძლება დიდად სასარგებლო იქნეს.

ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ საინფორმაციო სააგენტოების ცნობებს დ. ტ. შეპილოვის მოხსენების შესახებ. „ნიუ-იორკ პოსტი“ ცნობას მოხსენების შესახებ ბეჭდავს სათაურით: „ომი გარდუვალი არ არის“. გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“ პირველ გვერდზე ათავსებს სათაურს: „რუსეთი მოითხოვს პირობას, რომ ხელს არ ახლებენ შუა აღმოსავლეთს. ექვსი პუნქტისაგან შემდგარი წინადადება მოითხოვს დიდი ოთხეულის გარანტიებს“. გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ-ამერიკენი“ სათაურში პირველ გვერდზე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი „მოუწოდებს დიდ ოთხეულს ერთიანობისაკენ შუა აღმოსავლეთის საკითხებში“.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ამერიკის გაზეთები თითქმის არ უკეთებენ კომენტარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენების ბევრ უმნიშვნელოვანეს დებულებას. გაზეთები მთავარ ყურადღებას უთმობენ მხოლოდ სსრ კავშირის მთავრობის ნოტას, ცდილობენ რა შექმნან შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირი თავისი წინადადებებით თითქოს ისახავს რაღაც ანგარებითს მიზნებს ახლო აღმოსავლეთში.

საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის მოხსენებამ მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია ინგლისში. წამყვანმა ინგლისურმა გაზეთებმა, კერძოდ, „ტაიმსმა“, „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტმა“, „ნიუს ქრონიკლმა“ გამოაქვეყნეს მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი და მიუძღვნეს მას სარედაქციო კომენტარები. ბევრი გაზეთი აღნიშნავს მოხსენების „დინჯ“ ტონს და ამბობს, რომ საჭიროა მისი ყურადღებით განხილვა.

დ. ტ. შეპილოვის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია იაპონიაში, ფინეთში, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში. (საკდესი).

სსრ კავშირის დელეგაციის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი და სთხოვა, რომ გენერალური ასამბლეის XI სესიის დღის წესრიგში შეიტანოს ახალი პუნქტი: „ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაცხადა, რომ დღეს დღის მეორე ნახევარში გაიმართება გენერალური კომიტეტის სხდომა, რომელიც განიხილავს საკითხს, რომ გენერალური ასამბლეის XI სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილი ახალი პუნქტი: „ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას“, აგრეთვე მიმდინარე სესიის მუშაობის დამთავრების ვადების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წინადადებას.

საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი ბირმაში

მანდალაი, 12 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). მანდალაის მოსახლეობა გუშინ გულითადად შეხვდა .სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვსა და მის თანმხლებ პირებს.

სტუმრების შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ ბირმის კავშირის მთავრობის წარმომადგენლები, პარლამენტის, მანდალაის მუნიციპალიტეტის წევრები, ადგილობრივი სამხედრო სარდლობა. ჩამწკრივებული იყო სპატიო ყარაული.

მიმართა რა გ. კ. ჟუკოვს, ფინანსთა მინისტრმა ქჰან მაუნგ გიიმ განაცხადა, რომ მანდალაიში ჩამოსვლა ეამოჩენილი მხედართუფროსისა, რომლის ხელმძღვანელობით საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს ფაშისტ-ნაცისტი დამპყრობლები, მანდალაის ახოგრების დიდ მოვლენას წარმოადგენს.

ჩვენ, თქვა მან, გვახარებს საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრობა და იმედი გვაქვს, რომ იგი შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება.

სპასუხო სიტყვაში გ. კ. ჟუკოვმა გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი, მეგობრული შეხვედრისათვის და მთელ ბირმელ ხალხს გადასცა საბჭოთა ხალხის გულითადი სალამი. საბჭოთა ხალხი, თქვა მარშალმა, მთელ ბირმელ ხალხს ესურვებს ბედნიერებასა და აყვავებას. საბჭოთა ხალხი ბედნიერია იქონიოს მეგობრული ურთიერთობა თქვენთან, ისე როგორც ყველა ხალხთან, რომლებიც სსრ კავშირთან ერთად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

ჟუკოვი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა და ბირმელი ხალხების ურღვევ მეგობრობას.

აეროდრომიდან გ. კ. ჟუკოვი ფინანსთა მინისტრის ქჰან მაუნგ გიისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ტაკინ ტა კინის თანხლებით ქალაქში მიდის. ბირმის ამ ძველი დედაქალაქის დათვალიერების შემდეგ მარშალი და მისი თანმხლები პირები მივიდნენ მანდალაის კოლეჯში, სადაც მათ ბირმელი სტუდენტები მიესალმნენ. კოლეჯში ფინანსთა მინისტრმა საუზმე გამართა სტუმრების პატივსაცემად. ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობის ნიშნად მარშალს ვერცხლის ვაზა მიართვეს.

დღეს გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები ავტომობილებით გაემგზავრნენ მთის პატარა ქალაქ მაიმიოში, სადაც იგი იქნება ჩრდილოეთის სამხედრო ოლქის სარდლის ბრიგადიერ დ. ა. ბლეიკის სტუმარი.

საბჭოთა კავშირიუგოსლავიის ეკონომიური ურთიერთობისათვის

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად ამა წლის 9 თებერვალს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს შეთანხმებისა ატომგულის ფიზიკის დარგში კვლევის განვითარებისა და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის შესახებ, რაც ხელმოწერილია ბელგრადში 1956 წლის 28 იანვარს.

აღნიშნული ოქმით გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ორგანიზაციებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის შემდგომი თანამშრომლობა ატომგულის ფიზიკის კვლევისა და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ურთიერთ გაგებისა და ამ დარგში შემდგომი თანამშრომლობისადმი მისწრაფების სულისკვეთებით.

ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და საფრანგეთის გრძელვადიან შეთანხმებას საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც წარმოებდა მოსკოვში 1956 წლის მაისში საფრანგეთის მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს, მხარეები შეთანხმდნენ ყოველი დონისძიებით წაახალისონ საქონელბრუნვის განვითარება სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის, აღიარეს რა, რომ ეს შეესაბამება ორივე ქვეყნის ურთიერთ ეკონომიურ ინტერესებს და იქნება ორივე ხალხს შორის დაახლოებისა და ურთიერთ გაგების სერიოზული ფაქტორი.

მხარეებმა მაშინვე მიიჩნიეს საჭიროდ დადებულ იქნას, საქონელბრუნვის გადიდებისათვის ხელმეწყობის მიზნით, გრძელვადიანი შეთანხმება საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საფრანგეთიდან სსრ კავშირისათვის მანქანების, მოწყობილობისა და სხვა საქონლის მიწოდების და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირიდან საფრანგეთისათვის საქონლის მიწოდების წლითიწლობით მნიშვნელოვან გადიდებას.

ამ შეთანხმების შესასრულებლად პარიზში წარმოებდა მოლაპარაკება აღნიშნულ გრძელვადიანი შეთანხმების დადების შესახებ.

მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუზიკინი, და საფრანგეთის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ეკონომიურ საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჟ. მასონი.

ეს მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრულ ატმოსფეროში და ურთიერთ გაგების სულისკვეთებით, დამთავრდა ამა წლის 11 თებერვალს სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის გრძელვადიანი შეთანხმების ხელმოწერით საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ სამი წლის პერიოდისათვის, რომელიც მოიცავს 1957—1959 წლებს.

დადებული შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები საფრანგეთში გაანაწილებენ დიდ შეკვეთებს სსრ კავშირისათვის აღნიშნული სამი წლის განმავლობაში ბევრი სახეობის მანქანებისა და მოწყობილობის, მათ შორის ლითონსაჭრელი ჩარხების, ელექტროტექნიკური, მეტალურგიული, რადიო მოწყობილობისა და სატელევიზიო მოწყობილობის, ცვალებადი დენით მომუშავე ძლავრი ელექტრომავლების, ავტომობილების წარმოებისათვის მოწყობილობის, ყვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკებისათვის, დიდი სახლსაშენებელი პანელების ქარხნებისათვის და ლერწმისაგან ცელულოზის წარმოების ყარხნებისათვის, ციმბირი, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის მოწყობილობის დასამზადებლად და მისაწოდებლად.

საფრანგეთი სსრ კავშირს მიაწვდის აგრეთვე შავი ლითონების ნაგლინს, კაბელს, კორპის ხის ყერტს, ხელოვნურ ბოჭკოს, მარცვალ კაკაოს, ციტრუსოვანებს, ეთეროვან ზეთებსა და სხვა საქონელს.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი საფრანგეთს თავისი შეკვეთებისა და შესყიდვის ასანაზღაურებლად ამ ქვეყანაში მიაწვდის ანტრაციტს, ქვანახშირის პეკს, ნავთობსა და ნავთობის პროდუქტებს, მარგანეცისა და ქრომის მადნებს, აზბესტს, დახარხილ მასალებს, ბალანსებს, ცელულოზას, საგაზეთო ქაღალდს, ბამბას, ბეწვეულს, კობრრჩხალის კონსერვებს, მაჩქანებსა და მოწყობილობას და სხვა საქონელს.

გრძელვადიანი შეთანხმება ითვალისწინებს სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის საქონელბრუნვის მოცულობის წლითიწლობით მნიშვნელოვან გადიდებას და ურთიერთ მისაწოდებელი საქონლის ნომენკლატურის გაფართოებას. მოელიან, რომ სამი წლის პერიოდის ბოლოსათვის საქონელბრუნვა ორივე ქვეყნის შორის მიაღწევს დონეს, რომელიც დაახლოებით სამჯერ გადააჭარბებს 1955 წლის საქონელბრუნვის მოცულობას.

ზემოაღნიშნულ გრძელვადიან შეთანხმებას ხელს აწერენ: სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუზიკინი, საფრანგეთის მთავრობის რწმუნებით — ეკონომიურ საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჟ. მასონი.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში ვ. პ. დაშკევიჩი, საბჭოთა მთავრობის სავაჭრო დელეგაციის წევრები, საფრანგეთში სსრ კავშირის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები;

საფრანგეთის მხრივ — ფინანსთა და ეკონომიურ საქმეთა მინისტრი პ. რამადიე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ლ. ჟოქსი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორი ო. ვოროშილი, საფრანგეთის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის წევრები და სხვები.

მუშაობა დაამთავრა ბულგარეთის სამამულო ფრონტის მე-4 ყრილობამ

სოფია, 13 თებერვალი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა ბულგარეთის სამამულო ფრონტის IV ყრილობამ.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა განმტკიცდეს და განვითარდეს სამამულო ფრონტი, როგორც ყველაზე ფართო, სახალხო, თვითმოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც იქნება მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის ცოცხალი განსახიერება. სამამულო ფრონტის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ხალხის აღზრდა პატრიოტული და სოციალისტური სულისკვეთებით. სამამულო ფრონტი უნდა იყოს სახალხო ხელისუფლების ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი დასაყრდენი.

ყრილობამ საჭიროდ აღიარა განვითარდეს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საყოველთაო-სახალხო მოძრაობა.

ყრილობამ მოუწოდა ყველა ბულგარელ პატრიოტს განამტკიცონ ბულგარელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის აყვავებისათვის ბრძოლაში.

ყრილობამ აირჩია სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

ინგლისის საომარი მოქმედება იემენის წინააღმდეგ

ლონდონი, 13 თებერვალი. (საკდესი). იემენის მისიამ ლონდონში გუშინ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „7 თებერვალს დღის 1 საათზე (იემენის ადგილობრივი დროით) ინგლისის ჯარებმა ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების სროლა დაუწყეს ქალაქ კაბადას და იემენის ჯარების საგუშაგოებს. იმავე დღეს ინგლისის თვითმფრინავმა საზღვარს გადაუფრინა ქალაქ მურაიზის რაიონში.

9 თებერვალს დილით ინგლისის ჯარებმა იერიში მიიტანეს სავმაას საგუშაგოზე ელ-ბეიდის რაიონში, ამასთან გამოიყენეს ქვემეხები, ტანკები და თვითმფრინავები, რის შედეგად დანგრეულია რამდენიმე შენობა. ჯერჯერობით არ არის ცნობები მიყენებული ზარალისა და მსხვერპლის რიცხვის შესახებ. ბრძოლა გრძელდებოდა ამ ინფორმაციის მიღების მომენტამდე“.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

★

„ᲒᲐᲜᲒᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ“

მოძველებული ტექსტიანი ლიბრეტოს ქალაქ ტამკენტის ხმაზის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარის ერთ-ერთი სასაუბრო დადგმა — „განგის ქალიშვილი“ ინდოეთის გამოჩენილი კლასიკოსის რაბინდრანატ თაგორის რომანის მიხედვით. ინსცენირების ავტორი და სპექტაკლის დამდგმელია ამავე თეატრის მთავარი რეჟისორი ალ. გინზბურგი.

ტაშკენტელ თეატრალურ მოდგაფეთა ეს საუკეთესო ნამუშევარი ამ ცოტა ხნის წინათ დიდი ინტერესით ინახულეს მოსკოველმა მეგრძელებმა. პიესას და სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა პრესამ და ამ დღეებში გამართულმა სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მესამე პლენუმმა.

„განგის ქალიშვილის“ დადგმა სამყართველოში პირველად განახორციელა და ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ფოთის სახელმწიფო თეატრმა. პიესის თარგმანი ეკუთვნის გ. ნუცუბიძეს, დადგმა — ვ. მეგელიძეს, მხატვრობა — გ. მილორავას. სპექტაკლში გამოყენებულ იქნა ტაშკენტის თეატრის სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა, რომელიც კომპოზიტორ ს. იუდაკოვს ეკუთვნის.

წარმოდგენაში როლებს ასრულებდნენ მ. აბაშიძე, ვ. ტორიოშელიძე, ნ. ოდიშელიძე, გ. ებრალიძე, ნ. პანიოტი და სხვ.

ეს პიესა თავისი ახალი დადგმების რეპერტუარში შეიტანა ქუთაისის სახელმწიფო თეატრმაც.

ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲠᲔ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ბორი. (საკ. კორ.). რაიონის კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა თოჯინების თეატრალური წრე, რომელმაც ნორჩ მაყურებელს თავის პირველ დადგმად უჩვენა ი. ჭავჭავაძის „კაციანადამიანი?!“, ინსცენირებული კ. გოგიაშვილის მიერ.

სპექტაკლის მომზადებაში თეატრალურ წრეს დაეხმარა შეფი — თბილისის თოჯინების ქართული თეატრი. პიესის დადგმა განახორციელა სკართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. მიქელაძემ, მხატვრობა ეკუთვნის მ. გოცირიძეს, მუსიკა ვ. შავერზაშვილს.

ᲡᲐᲮᲒᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲬᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

თელავი. (საკ. კორ.). ხუთ წელზე მეტია, რაც თელავის რაიონულ კულტურის სახლთან არსებობს სახვითი ხელოვნების თვითმოქმედი წრე, რომელსაც თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მხატვარი ს. ასლანოვი ხელმძღვანელობს.

სახვითი ხელოვნების თვითმოქმედი წრის წევრთა ნამუშევრებმა, რომლებიც გაგზავნილი იყო რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე, მოწონება დაიმსახურეს. წრემ ქების სიგელები მიიღო.

ამ დღეებში კულტურის სახლში მოეწყო წრის წევრთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენილია ასობით ექსპონატი. მათ შორის არის ახალგაზრდა მხატვრის ჯ. ლანჩავაძის 11 ნამუშევარი. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ნატურმორტები „ფაფფურის ჯუკელი ხვერდის ფონზე“ და „უხვი შემოდგომა“ (ზეთი). ფერების მოხდენილი შეხამებით მოწონებას იმსახურებს ა. დალაქიშვილის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებული სურათები „ერეკლე მეორის დროინდელი ბოგირი“ და „აივნიანი სახლი“.

გამოფენაზე წარმოდგენილია ბ. მჭედლიშვილის „ჩქარი ნახატების“ 40 ექსპონატი. ისინი გამოირჩევა თემის აქტუალობით. კარგად არის განსახიერებული მხატვრის ჩანაფიქრი. მეოთხე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის თ. მოსიაშვილის მიერ შესრულებული ცხრა სურათიდან განსაკუთრებით მოსაწონია „ბიჭის პორტრეტი“ და „ვენერა“ (ფანქარი).

მნახველებს იზიდავს წრის ახალგაზრდა წევრების ი. უთურაშვილის, შ. ბეჟანიშვილის, რ. ბაბაიანის, ჯ. ხუციშვილის, ვ. ჭაბაშვილის, ო. ფეიქრიშვილისა და სხვების ნამუშევრები.

წრის ხელმძღვანელის ს. ასლანოვის ფერწერული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „საღამო ალაზნის ველზე“.

რედაქტორი გ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ

★

მ. ი. გლინკას გარდაცვალების 100 წლისთავისათვის

★

რუსი ხალხის სიამაყე და ეროვნული დიდება, რუსული მუსიკალური კლასიკის ფუძემდებელი მიხეილ ივანეს-ძე გლინკა გახდა ჩვენი მუსიკის ჩაუქრობელი მზე, ისევე როგორც ლიტერატურაში ალექსანდრე სერგეს-ძე პუშკინი. ჯერ კიდევ იმ შორეულ დროში, გამოეხმაურა რა კომპოზიტორის გარდაცვალებას, ი. პანაევი ჟურნალ „სოვრემენიკის“ მარტის ნომერში წერდა: „გლინკას სახელი შეიჭრა რუსეთის ყველაზე მივარდნილ, შორეულ კუთხეებშიც კი, მის მელოდიურ, ფიქრიან თუ მგზნებარე ჰანგებთან ერთად...“

გასულმა საუკუნემ გლინკას მუსიკას უჩქნობი სახელი მოუპოვა. იგი ეღერს და ცოცხლობს მუსიკალურ თეატრებში, საკონცერტო ესტრადებზე, მუსიკალური თვითმოქმედების ფართო წრეებში, ყოფაცხოვრებაში. დიდი კომპოზიტორის უკვდავი ნაწარმოებნი ზრდიდნენ და ზრდიან მუსიკალური ახალგაზრდობის მრავალ თაობას, მისი ბრძნული ესთეტიკური პრინციპები, რომლებიც ყველა რუსი კომპოზიტორის შემოქმედებას ანაყოფიერებდნენ, ჩვენს თანამედროვეთა მუსიკაზეც დიდ გავლენას ახდენენ.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ორმოცდათორმეტი წლის მ. ი. გლინკა, უკვე ოსტატობითა და სილამაზით აღსავსე ისეთ დიდ ნაწარმოებთა ავტორი, როგორიც არის ოპერები „ივან სუსანინი“ და „რუსლან და ლიუდმილა“, ესპანური უვერტიურები, „კამარინსკაია“, „ვალსი-ფანტაზია“, მრავალი მომხიბვლელი, საუცხოო რომანსი, — მიდის გერმანიაში, სადაც სწავლობს დასაკლეთ ევროპის მუსიკას და განაგრძობს თავისი შემოქმედების ღრმა სრულყოფას.

დასავლეთის მუსიკალური მეცნიერების გაცნობას გლინკა ეწევა შემოქმედებითად, კრიტიკულად, გამოდის რა ნათელი ესთეტიკური ამოცანებიდან, რაც მისი მგზნებარე პატრიოტული მრწამსის შესატყვისი იყო.

გლინკას ღრმა აზროვნება, მისი მგრძნობიარე, დიდი გული იგრძნობა კომპოზიტორის გაბედული, გულში ჩამწვდომი, შინაარსით მდიდარი მუსიკის თვითეულ ტაქტში, რუსი ხალხის კულტურისადმი სიყვარულითა და პატივისცემით, მსმენელთა ფართო მასებისადმი დემოკრატიული მზრუნველობით აღსავსე მის ესთეტიკურ აზრებში. როგორ შეიძლება აღტაცებაში არ მოგვყვანოს გლინკას ცნობილმა სტატებმა ნ. ვ. კუკოლნიკისათვის მიწერილ წერილში: „შეიძლება შევაერთოთ ხელოვნების მოთხოვნები საუკუნის მოთხოვნებთან და, ინსტრუმენტებისა და შესრულების სრულყოფის გამოყენებით, ეწეროთ ნაწარმოებები თანაბრად გასაგები როგორც მცოდნეთათვის, ისე უბრალო ხალხისათვის“. ეს აზრი დღესაც უდავოა, მხატვრებისათვის, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი შემოქმედების ხალხურობისათვის.

მეორე წერილში კომპოზიტორი წერს იმაზე, რომ სურს თავისი ახალი ოპერისათვის აირჩიოს „სავსებით ეროვნული“ სიუჟეტი და მუსიკაც მისი შესატყვისი შექმნას. „...მე მსურს, — ხაზს უსვამს გლინკა, — რომ ჩემი ძვირფასი თანამემამულენი აქ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც შინ...“



ერთ-ერთ საუბარში ა. ნ. სეროვთან გლინკამ ხაზი გაუსვა ხალხურობის კრიტერიუმის ძალას, შემოქმედებაში ხალხური საწყისების მნიშვნელობას: „მუსიკას ქმნის ხალხი, ჩვენი საქმე, მხატვრების საქმე კი მისი მხოლოდ არანყირებაა“. გლინკას მიერ გამოთქმული ეს შესანიშნავი აზრიც მტკიცედ შევიდა ჩვენს ესთეტიკურ მეცნიერებაში.

გლინკა ხშირად იმეორებს იმ აზრს, რომ ხელოვნებაში შინაარსი და ფორმა განუყოფელია. „მუსიკალური აზრის სილამაზეს იწვევს ორკესტრის სილამაზეს“, აღნიშნავს იგი თავის „შენიშვნებში ინსტრუმენტირების შესახებ“.

გამოთქვამდა რა ამ აზრებს, გლინკა გვიხსნიდა თავისი შემოქმედებითი მეთოდის არსს — მისწრაფებას თავის ნაწარმოებთა ფორმის სრულყოფისაკენ. მისი ნაწარმოებნი გამოხატავენ მეტად ღრმა გრძნობებს: ხან მგზნებარე პატრიოტულს, ხან ლირიკულს ან სევდიანს, ხან ეპიკურს, ხანაც სასიხარულოს და პათეტიკურად დიადს. ამ გრძნობების მრავალფეროვნება გლინკას მუსიკაში გასაოცარია და მეღვანდება თავისი რელიეფურობით დაუვიწყარ მუსიკალურ სახეებში.

განა შეიძლება დაივიწყო, თუნდაც ერთი მოსმენის შემდეგ, სასიხარულო-საზეიმო ჰიმნი „დიდება“, სუსანინის უკანასკნელი ამაღლებულ-პატრიოტული არია „სიმართლეს გრძნობენ“, რუსლანის ღრმა ფილოსოფიური არია „ო ველო, ველო“, ილინიშნას თავაწყვეტილ-დრდიმანდული სიმღერა „დაჭერის ქარი ჭიშკართან“, სევდიანი რომანსი „დასცხრი, ვნებათა ღელვავ“, პუშკინის ლექსის „მე მახსოვს წამი მშვენიერი“ ღრმად შემოქმედებითი ინტერპრეტაცია მუსიკაში, ოპერა „რუსლან და ლიუდმილას“ მგზნებარე სასიხარულო უვერტიურა. გლინკას მუსიკის ფართო ობიექტივიზმს უთუოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა რუსულ ხალხურ მღერადობასთან. და ეს მშობლიური მღერადობა მას „სისხლში ჰქონდა“ გამჯდარი. იგი რუსულ მელოდიებს ქმნიდა ისე, რომ მათ ხშირად ვერ გაარჩევდით ნამდვილი ხალხური მელოდიებისაგან. თავის „ჩანაწერებში“ კომპოზიტორი აღნიშნავდა: „სიმღერები, რომლებიც მე ბავშვობისას მომისმენია, იყო იმის პირველი მიზეზი, რომ შემდეგში დავიწყე ძირითადად რუსული ხალხური მუსიკის დამუშავება. მაგრამ ხალხურობის თავის გაგებაში გლინკა მიდიოდა გაცილებით შორს, უყრიდა რა საფუძველს რუსული ხელოვნების შემდგომი ეპოქების ესთეტიკას.

გლინკა არ შემოზღუდულა მხოლოდ რუსული ეროვნული მელოდიკის სფეროთი. ის ღრმად იყო დაინტერესებული სხვა ხალხების მუსიკალური კულტურით და გასაოცრად ფაქიზად გადმოჰქონდა თავის მუსიკაში სხვა ხალხების მელოდიების ხასიათი და სულისკვეთება. რუს კომპოზიტორთა შემდგომ თაობებს მან დაუტოვა ინტერნაციონალური კავშირისა და სხვა ხალხებთან მეგობრობის დიადი ანდერძი.

დამახასიათებელია, რომ არარუს ხალხთა მუსიკათ მიღებული შთაბეჭდილებებით რომ მდიდრდებოდა, გლინკა მიისწრაფოდა აესახა ისინი არა მარტო სასიმღერო ფორმებში, არამედ დიდ ნაწარმოებებშიც